ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

$ 2 % bfydfhb7 @)!$ 12 (6313) afcb5 #) stshb

## შალვა ნათელაშვილი წლის პოლიტიკოსად დასახელდა

გვ.4





## ირინა იმერლიშვილი ძველით ახალ წლამდე უნდა გადადგეს!“

გვ.3



## ირაკლი ალასანია: პრემიერი მალე შეარჩევს მთავარი პროკურორის კანდიდატურას“

გვ.3



## თემურ ნანეიშვილი: ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და სამართლიანობა აღადგინოს“

გვ.5



## პაატა ზაქარეიშვილი: მეშინია, რომ მოვა დრო და მივხვდებით, სააკაშვილი მართალი იყო“

გვ.4





## რა მიზნით დაარსდა წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი

გვ.2



ISSN 1987-9385

## უჩა ნანუაშვილმა ფოთის მერს რეკომენდაციით მიმართა

გვ.4

## გამოკითხულთა უმრავლესობის განცხადებით, ლარის კურსის ცვლილება მათ მდგომარეობაზეც აისახა

გვ.6



კეჰ]ბ ობსტკბ .ღბსტკბ იფღბ

# რა მიზნით დაარსდა წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი

შორენა მარსაგიშვილი



**დღეს, 4 იანვარს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების დღეა. მას 81 წელი შეუსრულდა. მას დაბადების დღეს უამრავი ადამიანი ულოცავს. მათ შორის არიან სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის მოსწავლეები და მასწავლებლები. ეს გიმნაზია დღეს საკმაოდ მაღალი რეიტინგით სარგებლობს, რაშიც ლომის წილი ილია II-ს უდევს.**

— სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი დაარსდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1999 წელს, — აცხადებს „ახალ თაობასთან" საუბარში გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგე ნატა თექთურმანიძე.

ამ წლების მანძილზე გიმნაზიამ ბევრი სირთულე გამოიარა. დღეს ეს სასწავლებელი მთელ რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია, რაშიც ძალიან ბევრ ადამიანს მიუძღვის წვლილი. მათ შორის არის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი იეგუდიელი. ის გიმნაზია-პანსიონის დირექტორი 2007 წლიდან არის და, როგორც ნატა თექთურმანიძე აცხადებს, გიმნაზიაში ყველაფერს საკუთარი ხელით აკეთებს.

რა მიზნით შეიქმნა ეს სასწავლებელი, როგორია ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება, რას უსურვებენ პატრიარქსა და მეუფეს ბავშვები და მასწავლებლები, ამის შესახებ გიმნაზია-პანსიონის სასწავლო ნაწილის გამგე „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ნატა თექთურმანიძე:**

— თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ჩვენი სკოლის ბავშვებისა და მასწავლებლების სახელით მთელ საქართველოს მივულოცო ახალი წელი და შობა. განსაკუთრებით მინდა მივულოცო ჩვენს პატრიარქს, რომლის კურთხევით შეიქმნა ეს სასწავლებელი. დღეს მისი უწმინდესობის დაბადების დღეც არის და ამ დღესაც მივულოცავ. მის უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს უახლეს ისტორიაში. შობასა და ახალ წელს ჩვენი სასწავლებლის დირექტორს, მეუფე იეგუდიელსაც, რომელმაც არნახული წვლილი შეიტანა გიმნაზიის განვითარებაში. იმისათვის, რომ აქ ყველაფერი რიგზე იყოს, მეუფე ფიზიკურადაც მუშაობს. მისი მოღვაწეობა პანსიონის ბავშვებისთვის სამაგალითოა. ჩვენი გიმნაზია-პანსიონი 1999 წელს პატრიარქის კურთხევით დაარსდა. თავდაპირველად გიმნაზია-პანსიონი სოფელ აჩხოტის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის დარბაზში განთავსდა. თავდაპირველად იქ მხოლოდ 12 ბავშვი იყო.

***— რატომ გადაწყვიტა ამ გიმნაზია-პანსიონის დაარსება?***

— სასწავლებლის დაარსების იდეა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს ეკუთვნის. იდეას ხორცი ბათუმის და ლაზეთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ შეასხა. გიმნაზიის დაარსების მიზანი ხევის მომავალი თაობის მართლმადიდებლური სულისკვეთებით აღზრდა და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების განათლებაზე ზრუნვა გახლდათ. როგორც უკვე გითხარით, ყველაფერი 12 ბავშვით დაიწყო. მოსწავლეები 3 ცვლაში სწავლობდნენ. გიმნაზიისთვის გამოყოფილი დარბაზი ვერ თბებოდა. ამის გამო სასწავლებელი დაბა ყაზბეგში არსებულ მოსწავლეთა ახალგაზრდობის სახლში გადავიდა. აქ ჩამოყალიბდა სულიერი მოძღვრის ინსტიტუტი, რაც სასულიერო პირთან მოსწავლის ყოველდღიურ ურთიერთობას გულისხმობს. სასწავლებელში მოეწყო სამლოცველო. სწავლასთან ერთად გიმნაზიის აუცილებელი შემადგენელ ნაწილად იქცა ლოცვა.

***— თქვით, რომ თავიდან მხოლოდ 12 მოსწავლე იყო. დღეს რამდენი ბავშვი სწავლობს თქვენთან?***

— დღეს ჩვენთან 135 ბავშვი სწავლობს. მათი ნაწილი ღამითაც აქ რჩება, ნაწილი კი სახლებში მიდის ღამის გასათევად. ის ბავშვები, ვისაც აქ ღამის გათევა არ სურთ, გახანგრძლივებული რეჟიმით სწავლობენ. ისინი სკოლიდან მას შემდეგ მიდიან, რაც გაკვეთილებს მოამზადებენ.

***— გიმნაზიაში, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ადგილობრივი ბავშვები არ სწავლობენ.***

— გიმნაზიაში ძირითადად სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები სწავლობენ. მათ მშობლებს არა აქვთ საშუალება, შვილებს სათანადო განათლება მისცენ. ჩვენი გიმნაზია ამისთვის ყველაფერს აკეთებს. ბავშვებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი საიმისოდ, რომ კარგად ისწავლონ. გიმნაზიაში საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც არიან ბავშვები. ზოგს მშობელი არა ჰყავს, ზოგი ბავშვი კი აქ გამოსასწორებლად არის ჩამოსული.

***— ძნელად აღსაზრდელი ბავშვებიც გყავთ?***

— ამბობენ, რომ ძნელად აღსაზრდელები არიან. ეს ბავშვები აქ ცუდად ნამდვილად არ იქცევიან. მეუფე იეგუდიელს რომ უყურებენ, შეუძლებელია, ცუდად მოიქცნენ. ამ ბავშვების ნაწილი ჩვენთან რჩება ღამით, ნაწილი კი ელიას მამათა მონასტერში ცხოვრობს.

***— ამ ბავშვების გამოსასწორებლად რაიმე კონკრეტულ ღონისძიებას თუ მიმართავთ?***

— ჩვენი გიმნაზია სხვა სასწავლო დაწესებულებებისგან იმით განსხვავდება, რომ აქ პირველი კლასიდან ბავშვები საღვთო სჯულს სწავლობენ. ბავშვებს ყოველდღიური კონტაქტი აქვთ სასულიერო პირებთან, ჰყავთ მოძღვარი, რაც ბავშვების სულიერ მდგომარეობაზე კარგად მოქმედებს.

***— სხვა განსხვავება არ არის სასწავლო პროგრამაში?***

— მეტი განსხვავება არ არის. სწავლობენ იმ პროგრამით, რომლითაც სხვა სკოლები.

***— სწავლის დონე როგორია თქვენთან?***

— თამამად ვიტყვი, რომ საკმაოდ კარგ განათლებას ვაძლევთ ბავშვებს. ამისთვის პერსონალი ყველაფერს აკეთებს. გასულ წელს ჩვენმა კურსდამთავრებულებმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენეს. ეს ჩვენ ძალიან გვიხარია და ვცდილობთ, რომ ამ მაღალმა შედეგი კიდევ უფრო მოიმატოს. ამ მიზნის მიღწევაში მეუფე იეგუდიელი ყველანაირად გვერდში გვიდგას.

***— გაკვეთილებს სასულიერო პირებიც ატარებენ?***

— არა, ისინი გაკვეთილებს არ ატარებენ.

***— გიმნაზიას განათლების სამინისტრო აფინანსებს?***

— ჩვენ საპატრიარქო გვაფინანსებს. თუმცა ხელფასის ნაწილს განათლების სამინისტრო გვიხდის.

***— გიმნაზია-პანსიონის შექმნას მოსახლეობა როგორ შეხვდა?***

— ყველგან, განსაკუთრებით კი მთაში, ნებისმიერ სიახლეს ძნელად ეგუება მოსახლეობა. ჩვენ შემთხვევაშიც ასე იყო. სასწავლებლის პირველი მოძღვარი და საღვთო სჯულის პირველი მასწავლებელი აჩხოტის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი იეგუდიელი იყო. გიმნაზიის პირველი თანამშრომლები ძირითადად ადგილობრივი ეკლესიების მრევლის იყო. გიმნაზიის შენობის შერემონტებისათვის პირველი ფულადი შემოწირულობები მეუფე დიმიტრის ძმამ, ბატონმა გიორგი შიოლაშვილმა და მისმა მეგობრებმა გაიღეს. პირველი სასკოლო ინვენტარი სასწავლებელს რაფიელ შიოლაშვილმა შემოსწირა. შენობის რემონტი დაიწყო 2000 წლის ზაფხულში. მიმდინარეობდა თავდაუზოგავი მუშაობა, რათა სასწავლო წლის დასაწყისისთვის მომხდარიყო სასწავლო პროცესისთვის საჭირო ოთახების გარემონტება. სახსრების უქონლობის გამო მუშახელს ძირითადად მოხალისეები შეადგენდნენ. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ სასულიერო პირებიც. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მამა პეტრე ყრუაშვილი და მისი მრევლი.

ადგილობრივი მოსახლეობა პირველად ნაკლებად იღებდა ამ საქმეში მონაწილეობას. მათ არ სჯეროდათ ამ საქმის წარმატებულობისა. მოგვიანებით ისინიც აქტიურად ჩართნენ ამ პროცესში. რეზო კობიაშვილის (სახელოვანი ფეხბურთელის ლევან კობიაშვილის მამა) სპონსორობით გარემონტდა შენობის ნაწილი. 2000 წელს გიმნაზიის რექტორად დაინიშნა არქიმანდრიტი ილარიონი. ის არ იშურებდა ძალისხმევას, რათა სწავლისთვის საჭირო პირობები ყოფილიყო. შემოწირული თანხა საშენ მასალასაც ძლივს ჰყოფნიდა. ამიტომ მუშახელის დაქირავება წარმოუდგენელი იყო. სასულიერო პირები თავად ასრულებდნენ სარემონტო სამუშაოებს. აქტიურობდნენ გიმნაზიის მასწავლებლებიც. ქალებიც აქტიურად მუშაობდნენ. მათთვის რთული იყო ამ სამუშაოს შესრულება, მაგრამ ამ საქმეს მაინც სიხარულით აკეთებდნენ. თანხის უქონლობის გამო სარემონტო სამუშაოები ნაწილ-ნაწილ ზაფხულობით ტარდებოდა.

***— ზაფხულობით რატომ?***

— სასწავლო პროცესი რომ არ შეფერხებულიყო. თანდათან იზრდებოდა ბავშვების რაოდენობა. სასწავლებელში ახალგაზრდა და მონდომებული ადამიანები მუშაობდნენ. სასწავლო ცხოვრება იყო მართლა სასიამოვნო. გაიხსნა სხვადასხვა წრე. გიმნაზიის შემოწირულობების ხარჯზე არსებობდა. ეს იყო არასტაბილური შემოსავალი. ზოგჯერ დაფინანსება ძალიან კლებულობდა, მაგრამ გამოსავალი მაინც ჩნდებოდა. 2001 წელს მამა ილარიონის ძალისხმევით გიმნაზიის დაფინანსება საპატრიარქოს ბიუჯეტში ჩასვეს. ამის შემდეგ დაფინანსებამ სტაბილური ხასიათი მიიღო. თანამშრომლებისთვის ხელფასის მომატებაც კი შესაძლებელი გახდა. პატრიარქი აქტიურად იყო ჩართული გიმნაზიის ცხოვრებაში. ხშირად ჩამოდიოდა პირადად ეცნობოდა გიმნაზიაში არსებულ პრობლემებს, სახავდა მათი გადაჭრის გზებს და გეგმებს, ამხნევებდა იქ მომუშავე პერსონალს, პირადად ესაუბრებოდა მოსწავლეებს. 2003 წელს გიმნაზიის რექტორად ახლად დაარსებული ხევისა და სტეფანწმინდის ეპარქიის ეპისკოპოსი პეტრე ცაავა დაინიშნა. მისი შემწეობით მნიშვნელოვნად გამოსწორდა გიმნაზიის მდგომარეობა. შეკეთდა და გარემონტდა შენობის მეორე სართული. 2007 წლიდან რექტორი არის მეუფე იეგუდიელი, რომელიც ამ სკოლისთვის მართლა ყველაფერს აკეთებს, ფიზიკურადაც კი მუშაობს. ყველაფერს აკეთებს, რომ აქ ბავშვებმა კარგად ისწავლონ. კიდევ ერთხელ ვულოცავ მეუფეს შობა-ახალ წელს. მან ჩვენი სასწავლებლისთვის ძალიან ბევრი გააკეთა და კიდევ ბევრის გაკეთებას აპირებს.



ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

## ირაკლი ალასანია: პრემიერი მალე შეარჩევს მთავარი პროკურორის კანდიდატურას“



პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავარი პროკურორის ვინაობა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ინფორმაციით, პრემიერის მიერ შერჩეულ კანდიდატზე მსჯელობა გუნდშიც გაიმართება. „პრემიერი მალე შეარჩევს კანდიდატურას. ამის შემდეგ ეს საკითხი მთავრობაში იქნება განხილული. კანდიდატის შერჩევა პრემიერის პრეროგატივაა და შემდეგ მასზე კოლექტიურად მთელი მთავრობა ავიღებთ პასუხისმგებლობას", - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

**რეპორტიორი**

## აჭარის ტელევიზიასა და რადიოს 22 მილიონ ლარამდე ღირებულების ქონება გადაეცა

„აღნიშნულ ქონებაში იგულისხმება ტელევიზიისა და რადიოს აპარატურა, ავეჯი, ორბელიანის ქუჩაზე მდებარე შენობა და ფართი ყოფილი თითების თეატრის შენობაში", - აჭარის ტელერადიო დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ქონება აჭარის ტელევიზიასა და რადიოს უზურფრუქტის წესით გადაეცა. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს იურისტის განცხადებით, აღნიშნული თანხიდან 15 მილიონი ლარის ქონება ამორტიზებულია, მათ შორისაა მოძველებული ანძები.

**რეპორტიორი**

## საჯარო რეესტრის მაღალი თანამდებობის პირი მინდია უგრეხელიძის შვილს ამხელს

მისივე თქმით, ოთარ ფარცხალაძის საკითხს, თანამდებობიდან მის გადადგომამდე ახალი ხელისუფლების მხრიდან მინდია უგრეხელიძე გამოეხმაურა, რომელსაც, როგორც შოთაძე წერს, თავისი შვილის დარდი ჰქონდა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი თამი შოთაძე აცხადებს, რომ სადღესასწაულო დღეების შემდეგ გამართავს პრესკონფერენციას და ყველა მედიასაშუალებას ამცნობს, რა ხდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მისივე თქმით, ოთარ ფარცხალაძის საკითხს, თანამდებობიდან მის გადადგომამდე ახალი ხელისუფლების მხრიდან მინდია უგრეხელიძე გამოეხმაურა, რომელსაც, როგორც შოთაძე წერს, თავისი შვილის დარდი ჰქონდა.

თამი შოთაძე წერს, რომ პაპუნა უგრეხელიძე უშუალოდ მინდია უგრეხელიძის „შთაგონებით და თეა წულუკიანის მეცადინეობით მოევლინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“. – „2013 წელს ქართულმა საზოგადოებამ საკადრისი პასუხი გასცა დამნაშავე პირთა ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე „წვდომის სურვილს“. ერთადერთი, ვინც ახალი ხელისფლებიდან ამ სამარცხვინო ფაქტს გამოექომაგა, მინდია უგრეხელიძე იყო, რომელსაც ფარცხალაძეზე უფრო თავისი შვილის დარდი ჰქონდა, რომელიც მისი შთაგონებით და თეა წულუკიანის მეცადინეობით მოევლინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

ძალიან ბევრმა ადამიანმა დაუღალავი შრომით მიაღწია ამ სამსახურის წარმატებას და უდიდეს მიღწევებს, მე არ შევეგუები სააგენტოს თავმჯდომარეობდეს ნარკომანი, ნასამართლევი პაპუნა უგრეხელიძე. სადღესასწაულო დღეების შემდეგ, ყველა ტელევიზიისა და რადიო/ პრესის მონაწილეობით მე გავმართავ პრესკონფერენციას, თუ რა ხდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში – რა კომპეტენციის ადამიანი ხელმძღვანელობს მას!

საჯარო რეესტრი ნარკომანთა სარეაბილიტაციო ცენტრი არ არის!“, – აცხადებს შოთაძე.

**ნიუსპოსტი**

# ირინა იმერლიშვილი ძველით ახალ წლამდე უნდა გადადგეს!“

*შორენა მარსაგიშვილი*

**ახალი ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მრავლისმნახველი საქართველოს გაოცებას ახერხებენ. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მათზე ნაციონალები ახალი კომპრომატის გამოქვეყნებას აპირებენ. გვპირდებიან, რომ ამ მასალების შემდეგ ქვეყანა გაოგნებული დარჩება. სამართლიანობის ხატრით უნდა ითქვას, რომ მათზეც ბლომად არის კომპრომატები და წესით, მათაც სულ მალე უნდა იხილონ დღის სინათლე.**

ერი ამ პროცესის დაწყებას მოუთმენლად ელოდება, მანამდე კი შედარებით მსუბუქი გასართობებით იქცევს თავს. სხვა ნებისმიერ ქვეყანაში ამ ამბებს სერიოზული სკანდალები მოჰყვებოდა, მაგრამ საქართველო სხვა ტიპის ქვეყანაა. აქ ასეთ რამეებზე მხოლოდ თავს ვინერვიულებთ.

ერს სანერვიულო გასული წლის დამლევს უშიშროების საბჭოს ახალმა მდივანმა ირინა იმერლიშვილმა გაუჩინა, რომელმაც ახალ თანამდებობაზე დანიშვნიდან მეორე დღეს საკმაოდ ძვირიანი შენაძენი გაიკეთა. არადა, რამდენიმე თვის წინ, დეპუტატობისას, მან ერს ნაციონალების მიერ ნახარჯი თანხების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მისი თქმით, ნაცმოძი გართობაზე შოკისმომგვრელ თანხებს ხარჯავდა.

იმერლიშვილის განცხადებით, ამ ფაქტს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან გამოთხოვილი დოკუმენტები ადასტურებს, რომლის მიღებაც მან მას შემდეგ შეძლო, რაც სამსახური მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა და დოკუმენტებს გრიფი საიდუმლო მოეხსნა.

მისი ცნობით, მხოლოდ სააკაშვილის ესპანელი მზარეულის ცხოვრების და თარჯიმნით უზრუნველყოფის ხარჯები, საერთო ჯამში, ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს.

– წლების განმავლობაში საკმაოდ მაღალი ბიუჯეტის მქონე დაცვის სპეციალური სამსახურიდან სრულიად არამიზნობრივად იხარჯებოდა თანხები. ეს თანხები მიდიოდა პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრების, ახლობლების, მეგობრების, ყოფილი და ახლანდელი თანამდებობის პირების, მათ შორის, ქალაქის მერის, არაერთი გუბერნატორის, პარლამენტის წევრების ფუფუნების საგნებზე, საჩუქრებზე, დასვენებასა და გართობაზე. ეს ყველაფერი იყო გრიფით „საიდუმლო“, ამ ხარჯების ნახვა იყო შეუძლებელი. ქვეყნის ბიუჯეტიდან იქნა დახარჯული შოკისმომგვრელი თანხები. მაგალითად, ჩვენი კოლეგები, მათ შორის, წინა მოწვევის პარლამენტის წევრები – კობა ხაბაზი, ალანა გაგლოევა, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ასევე უმცირესობის წარმომადგენლები გოგა ხაჩიძე, დავით საყვარელიძე, მარიამ საჯაია, გიორგი ღვინიაშვილი, ნუგზარ წიკლაური, სერგო რატიანი, დავით დარჩიაშვილი ახალ წელს პრეზიდენტთან ერთად დუბაიში შეხვდნენ და მათ გართობაზე დაიხარჯა 240 ათასი ლარი. ასევე ჩემს კოლეგა ქალბატონს პრეზიდენტმა უყიდა ძვირად ღირებული მობილური ტელეფონის აპარატი და სამაჯური, რომელიც ამ დოკუმენტებში ჩანს. გარდა ამისა, სააკაშვილმა უკრაინელ მომღერალს, რომლის მამასაც საქართველოს მოქალაქეობა სრულიად უკანონოდ მიანიჭა, რადგან თავის ქვეყანაში ძებნილი იყო, ოქროს ნაკეთობები აჩუქა. საკმაოდ ძვირადღირებული ოქროს ნაკეთობა აქვს ნაყიდი და ნაჩუქარი ასევე რუსი ჟურნალისტისთვის. ასევე, პრეზიდენტმა და ქალაქის მერმა ძვირადღირებულ ავსტრიულ კურორტზე გასახდომ პროცედურებში დახარჯეს 115 ათასი ლარი. ცხვრები ჰყავთ ნაყიდი – 40 ერთეული 7 950 ლარად, რომელიც მოსახლეობას დაურიგეს. ასეთი ხარჯები არ მთავრდება. მხოლოდ პრეზიდენტის ესპანეთიდან ჩამოყვანილი პირადი მზარეულის ცხოვრების ხარჯები და თარჯიმნით მომსახურება საერთო ჯამში აღწევს ნახევარ მილიონ ლარს, რადგან 25 ათასი ლარი ჯდებოდა ეს ყველაფერი თვეში, – განაცხადა იმერლიშვილმა.

ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე თვეში თავად იმერლიშვილიც იგივე გზას დაადგებოდა. წლის დამლევს ნაციონალურმა მოძრაობამ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც უშიშროების საბჭოს მდივანმა, ირინა იმერლიშვილმა, თანამდებობაზე დანიშვნისთანავე შეიძინა 78 ათასი ლარის ღირებულების „ტოიოტა პრადო“, ძვირადღირებული აიფონ5-ს მობილური ტელეფონების შესაძენად კი, უშიშროების საბჭომ თითქმის 50 ათასი ლარი დახარჯა.



ეს ამბავი თავად იმერლიშვილს დიდ ტრაგედიად არ მიაჩნია. ტრაგედია, მისი აზრით ის მანქანაა, რითაც მისი წინამორბედი გადაადგილდებოდა. აცხადებს რომ ბოკერიას მოძველებული მანქანა ემსახურებოდა და მან ის ახლით ჩაანაცვლა. უშიშროების საბჭოს მდივნის განმარტებით, მისი წინამორბედის ავტომანქანა ზუსტად იმავე ფირმის და მოდელის ავტომობილით ჩანაცვლდა.

– არაფრის დამატება არ მომხდარა, ჩანაცვლდა ერთი ავტომანქანა მეორეთი. დიახ, იყო ძველი მანქანა. უშიშროების საბჭოს მდივანს ემსახურებოდა საკმაოდ მოძველებული, რამდენიმე წლის მანქანა, სადაც დაცვის წარმომადგენლებს მთელი რიგი პროცედურები ჰქონდათ ჩატარებული. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს არაა პირადი, ეს არის უშიშროების საბჭოს მდივნის (რომელიც საკმაოდ მაღალი თანამდებობაა) საკუთრება. არ მინდა დეტალებში ჩაძიება, მაგრამ ბოკერიას მანქანა იყო გაჟღენთილი სიგარეტის სუნით. ბოკერიას ჰყავდა სახელმწიფო დაცვა, რომელიც, როგორც ჩანს, თავის სტანდარტებს ითვალისწინებდა და სკამები ჰქონდათ შედუღაბებული. მე კიდევ დაცვაზე ვთქვი უარი და ამით სახელმწიფოს საკმაოდ დიდი შეღავათი გავუწიე, აგრეთვე, მე მყავდა ორი მძღოლი და მხოლოდ ერთი დავიტოვე, რადგან ორი ზედმეტი იყო და ზუსტად ყოველივე აქედან გამომდინარე გახდა საჭირო ავტომანქანის გამოცვლა. ეს არის სამსახურებრივი ავტომანქანა, რომელიც დარჩება უშიშროების საბჭოში. ასევეა მობილურიც და კომპიუტერიც, რომელიც აუცილებლად სჭირდება უშიშროების საბჭოს მდივანს. ეს ნივთებიც დარჩება საბჭოში. ამიტომ ამ შეძენაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ, – ასეთი განმარტება გააკეთა უშიშროების საბჭოს მდივანმა.

ირინა იმერლიშვილი საბჭოს აპარატის მიერ ბოლო ერთ თვეში განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს და აცხადებს, რომ მათ, როგორც საიდუმლო დოკუმენტაციაზე მომუშავე უწყებას, მაღალი დაცულობის მქონე ტექნიკა სჭირდებათ.

– უშიშროების საბჭოს აპარატისთვის აუცილებელია მაღალი დაცულობის მქონე ტექნიკა, ვინაიდან ის მუშაობს საიდუმლო და სრულიად საიდუმლო დოკუმენტაციებზე.

ესაა ერთგვარი დაცვის მოთხოვნაც კი. უშიშროების საბჭოს აპარატს და არა ირინა იმერლიშვილს სჭირდება სამუშაოსთვის კომუნიკაციის საშუალებები, მათ შორის კომპიუტერი, რომელზეც, მე მგონი, არ უნდა დაისვას კითხვები. უშიშროების საბჭოს მდივანს კომპიუტერი არ დახვედრია, – აცხადებდა ირინა იმერლიშვილი ტელეკომპანია „იმედთან“ საუბრისას.

ის იმასაც განმარტავს, რომ ტელეფონი და კომპიუტერი, რომელიც აპარატმა შეიძინა, მისი წასვლის შემდეგაც უწყებაში დარჩება.

– საუბარია ერთ ტელეფონზე, რომელიც არის უშიშროების საბჭოსი და არა პირადი, ისევე, როგორც კომპიუტერი, რომელიც, სამწუხაროდ, არ დამხვდა, როცა მივედი ახალ სამსახურში. მგონი ყველა დამეთანხმება, რომ აუცილებელია კომპიუტერი, რომელიც ასევე უშიშროების საბჭოს საკუთრებაა და არა ჩემი. მე როცა წავალ აქედან, ნამდვილად დარჩება ახალ მდივანს ტელეფონიც, კომპიუტერიც და ავტომობილიც, რომელიც სავსებით შესაძლებელია, თვითონაც ჩაანაცვლოს თუ ამის საჭიროება იქნება, – აღნიშნა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში უშიშროების საბჭოს მდივანმა.

მისი განმარტებები და პატრიოტული მოსაზრებები მოსახლეობისთვის და პოლიტიკური ოპონენტებისთვის მთლად გასაგები არ აღმოჩნდა. გაურკვევლობაში იმყოფებიან პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრებიც. პარტიის სახელით იმერლიშვილის დასაგმობი განცხადება გენმდივანმა ალეკო შალამბერიძემ გააკეთა. მან გასული წლის 30 დეკემბერს საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც, იმერლიშვილის გარდა, ოთარ ფარცხალაძის გადაყენებაც მოითხოვა.

– მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის 95% სრულ გაჭირვებაში ცხოვრობს და ძლივს გააქვს მისი წუთისოფელი; მაშინ, როდესაც მთავრობას ბიუჯეტში 700 მლნ გარღვევა აქვს; მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში ყოფნა ხელისუფალთაგან ზომიერების გაძლიერებულ გრძნობას მოითხოვს, ყოვლად დაუშვებელია თანამდებობის პირების მიერ საბიუჯეტო სახსრების ძვირადღირებულ ჯიპებში და სხვადასხვა ტიპის, ასევე ძვირადღირებულ აქსესუარებში ფლანგვა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოსახლეობის ძარცვის ხარჯზე გაზულუქებული, ელიტურ კორუფციაში გახვეული ერთი „ნაციონალური“ ხელისუფლება მოვიშორეთ, მივიღეთ მეორე ხელისუფლება, რომლის მაღალი თანამდებობის პირებიც, ასევე ამ ულარიბესი სახელმწიფოს მოსახლეობის ხარჯზე ფუფუნებით ცხოვრების მოწყობას ცდილობს.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ უშიშროების საბჭოს მდივნის იმერლიშვილისა და ნასამართლეობის სკანდალში გახვეული მთავარი პროკურორის ფარცხალაძის მიერ შეძენილ იქნა ძვირადღირებული ჯიპები (აღარაფერს ვამბობ ბერიძის მიერ ჯიპის შეძენის მცდელობასთან დაკავშირებით), რომელიც მათ არაფერში არ სჭირდებათ, რამდენადაც მთაში და გაუვალ პირობებში სასიარულო არაფერი აქვთ, მიუთითებს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების წევრთა ბანდიტიზმზე, ზღვარგადასულ პროვინციალიზმზე (უნახავმა რა ნახაო) და რაც შეუძლებელია, არ გახდეს მათ მიერ თანამდებობის დატოვების საფუძველი.

ამდენად, „თავისუფალი საქართველო“ აყენებს ულტიმატუმს: ძველით ახალ წლამდე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან ი. იმერლიშვილი და ო. ფარცხალაძე, რომელიც ამასთანავე, როგორც ნასამართლევი პირი, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ასევე გათავისუფლებას ექვემდებარება და ამ აქტით საქართველოს ხელისუფლებამ სიტყვით „მედასავლეთობა“ საქმით დაადასტუროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში „თავისუფალი საქართველო“ ბოლომდე მიყვება ამ საქმეს და იბრძოლებს ხელისუფლებაში დასადგურებული ჯიპომანიისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხელისუფლებაში მოკალათებული მაღალჩინოსნების ფუფუნებაში ცხოვრების მოწყობის მცდელობის წინააღმდეგ.

აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც აღიარებულ იქნა ფარცხალაძის მიერ (უპირველეს ყოვლისა თავად ფარცხალაძის მიერვე) ჩადენილი დანაშაული, ძალიან სამწუხაროა, რომ საკუთარი საქმის ისეთი პროფესიონალი, როგორიც მინდია უგრეხელიძეა, „საკმეველს უკმევს“ ხელისუფლებას და მოსახლეობას თვალში ნაცარს აყრის. ხელისუფლებას თავად იმდენი დამცველები ჰყავს, თუნდაც შეიარაღებული ხალხის, პოლიციის და ჯარის სახით, რომ უგრეხელიძის დაცვა, მით უმეტეს მიკერძოებული, ხელისუფლებას დიდად ვერაფერს არგებს, ხოლო მის ავტორიტეტს კი სერიოზულად დააზიანებს, – განაცხადა მაშინ შალამბერიძემ.

ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში ოთარ ფარცხალაძემ პოსტი დატოვა. ამ ამბავმა „თავისუფალ საქართველოს“ ფრთები შეასხა და ახლა ისინი გაათმაგებული ძალებით ითხოვენ იმერლიშვილის გადადგომას.

– 2013 წლის 30 დეკემბრის ბრიფინგზე „თავისუფალი საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა ალექსანდრე შალამბერიძემ ულტიმატუმი წაუყენა ხელისუფლებას, ნასამართლევი მთავარი პროკურორის ო. ფარცხალაძისა და ძვირადღირებული ჯიპის (ასევე ძვირადღირებული ინდივიდუალური აქსესუარების) შეძენის სკანდალში გახვეული უშიშროების საბჭოს მდივნის ი. იმერლიშვილის ძველით ახალ წლამდე თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე.

მთავარმა პროკურორმა 30 დეკემბრის საღამოსვე დაწერა განცხადება გადადგომის თაობაზე და ამით ერთი ნაწილი „თავისუფალი საქართველოს“ მოთხოვნისა დაკმაყოფილდა. ახლა ველოდებით ხელისუფლების მხრიდან, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტისაგან, ვის უშუალო კომპეტენციაშიც შედის უშიშროების საბჭოს მდივნის გადაყენების საკითხი, ძველით ახალ წლამდე გადააყენოს ი. იმერლიშვილი, ან თავად ი. იმერლიშვილმა, ფარცხალაძის მსგავსად, გაითვალისწინოს საზოგადოებრივი აზრი და გადადგეს პოსტიდან, – ნათქვამია პარტიის საგანგებო განცხადებაში.

მარგველაშვილი უშიშროების საბჭოს მდივნის ქმედებაში ცუდს ვერაფერს ხედავს. აქედან გამომდინარე მის გადაყენებასაც არ მოისურვებს, თუ აქ სხვა რამეები არ მოხდა კიდევ.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ პრემიერი დიდ საკადრო წმენდას გეგმავს. ასე რომ, დაველოდოთ და ვნახოთ, როგორი იქნება ოცნების სამთავრობო კარუსელი.

## არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ გაკოტრდა

სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ გაკოტრდა. აღნიშნულ ინფორმაციას ტელეკომპანია ,,იმედი“ ავრცელებს.

კომპანია პენსიონრების, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებისა და სტუდენტების დაზღვევაზე მუშაობდა. კომპანიას ფინანსური პრობლემების გამოსასწორებლად ვადა 31 დეკემბრამდე ჰქონდა მიცემული. საუბარია დავალიანებაზე, რომელიც აღნიშნულ სადაზღვევო კომპანიას პროვაიდერ კლინიკებთან გააჩნია. ეს თანხა რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს.

„არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ დაზღვეული იყო საქართველოს 300 ათასზე მეტი მოქალაქე. აღნიშნული კომპანიის ვალდებულებებს მთლიანად სახელმწიფო აიღებს და, შესაბამისად, ბენეფიციარებს პრობლემები არ შეექმნებათ.

**მედიანიუსი**

## იმერეთის გუბერნატორმა ახალი მოადგილეები წარადგინა

იმერეთის გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა დღეს ახალი მოადგილეები წარადგინა. ესენი არიან: სალომე იობიძე, ალეკო იოსებაშვილი და დავით ლუშხვანი.

სალომე იობიძე საერთაშორისი სამართლის სპეციალისტია, ალეკო იოსებაშვილი ქუთაისში ქალაქის მთავარ არქიტექტორად მუშაობდა, ხოლო დავით ლუშხვანი ამ დრომდე ქუთაისში ბანკ „რესპუბლიკის“ მმართველი იყო. გუბერნატორის პირველი მოადგილის თანამდებობას სალომე იობიძე დაიკავებს.

**მედიანიუსი**

## შალვა ნათელაშვილი წლის პოლიტიკოსად დასახელდა



ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი მადლობას უხდის ყველას, ვინც ახალი წლის წინა დღეებში მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი რადიოს გამოკითხვაში და წლის პოლიტიკოსად ის დაასახელა.

,,მადლობას გიხდით ამ დიდი შეფასებისა და ნდობისთვის, რომელიც ამ ნომინაციის მოკუთვნებით დამაკისრეთ. პირობას გაძლევთ, ყველაფერს გავაკეთებ თქვენი ნდობის გასამართლებლად და ქვეყნის წინსვლისთვის:“ – ნათქვამია შალვა ნათელაშვილის მიმართვაში.

ცნობისთვის: 31 დეკემბერს საზოგადოებრივმა რადიომ გამოკითხვის საფუძველზე, წლის პოლიტიკოსად შალვა ნათელაშვილი დაასახელა.

**მედიანიუსი**

## ფოთის პორტის თანამშრომლები სამსახურიდან დათხოვნას აპროტესტებენ

ფოთის პორტის მოიჯარე კომპანიის ,,დი ენ პის“ თანამშრომლებმა 3 იანვარს, გვიან ღამით ნავსადგურის შესასვლელთან საპროტესტო აქცია გამართეს. მათი ინფორმაციით, ისინი სამსახურიდან გაათავისუფლეს და პორტის ტერიტორიაზე, საშვების დაბლოკვის გამო შესვლას ვერ ახერხებდნენ. პორტის ადმინისტრაციამ მათ უვადო ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზა, თუმცა აღნიშნული შეთავაზება მათთვის მიუღებელი იყო, ამიტომ მათ დოკუმენტს ხელი არ მოაწერეს. კომპანიამ თანამშრომელთა ვაკანსია კი უკვე გამოაცხადა.

აქციის მონაწილე 200-მდე თანამშრომელს სოლიდარობა ტრანსპორტის პროფკავშირებმა გამოუცხადეს და ხელისუფლებას აღნიშნული საკითხით დაინტერესებას სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში აქციების გამართვით იმუქრებიან.

**მედიანიუსი**

## დამწვრობის ცენტრში დაზარალებულების ნაკადმა იმატა

დამწვრობის ცენტრში ბოლო სამი დღის განმავლობაში თერმული დაზიანებით 25 ადამიანი მოათავსეს. პაციენტებმა დაზიანებები პიროტექნიკის აფეთქების შედეგად მიიღეს.

ყველაზე პატარა 3 წლისაა, ყველაზე უფროსი კი 93-ის. საახალწლო შუშხუნა 93 წლის მოხუცს ხელში აუფეთქდა, მას ორივე კიდური დამწვარი აქვს.

ექიმები მოსახლეობას აფრთხილებენ, მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების წესები.

,,მომართვიანობა გაზრდილია ძირითადად საახალწლო ფოიერვერკების აფეთქების შედეგად. საბედნიეროდ სერიოზულ ტრამვას ადგილია არ ჰქონია, ყველა ექვემდებარება ამბულატორიულ მკურნალობას. ასეთი პაციენტი იყო 25“, – განაცხადა დამწვრობის ცენტრის დირექტორმა გუგა ქაშიბაძემ.

**მედიანიუსი**

# უჩა ნანუაშვილმა ფოთის მერს რეკომენდაციით მიმართა

საქართველოს სახალხო დამცველმა შპს „ინფრასტრუქტურა-2008“ ყოფილი დირექტორის რატი კვანტრიშვილის გათავისუფლების კანონიერებასთან დაკავშირებით რეკომენდაციით მიმართა თვითმმართველი ფოთის მერს დათო სარსანიას.



როგორც სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, რატი კვანტრიშვილმა სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლის მიზნით სახალხო დამცველს 2013 წლის 5 სექტემბერს განცხადებით მიმართა. ფოთის მერიიდან გამოთხოვილი სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ფოთის მერის 2013 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის ნორმები.

შპს „ინფრასტრუქტურა 2008“ დაფუძნებულია თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2008 წლის განკარგულებით, 100% წილობრივი მონაწილეობით, მის დირექტორად რატი კვანტრიშვილი 2013 წლის 18 თებერვალს დაინიშნა. ფოთის მერიასა და შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ს შორის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება გაფორმდა 2013 წლის 15 თებერვალს. ხელშეკრულებით შესყიდვის ობიექტი არის ქალაქში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და გაუვნებელყოფა. სანაგვე ურნა-კონტეინერების დაცლა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა უნდა მომხდარიყო დღეში ორჯერ, ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის მიხედვით.

2013 წლის 18 ივლისის ფოთის მერის ბრძანებით რატი კვანტრიშვილს მიეცა გაფრთხილება სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისათვის. სწორედ ეს გაფრთხილება გახდა შემდგომში კვანტრიშვილის გათავისუფლების საფუძველი. მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებად მიჩნეული იქნა ის ფაქტი, რომ 2013 წლის 1 ივლისს 13:40-14:30 საათზე საყოფაცხოვრებო ნარჩენები არ იყო გატანილი სარსანიასა და ელადას ქუჩებიდან. ასევე, 4 ივლისს 12:30 საათზე ქალაქის ნაგავსაყრელზე არ მუშაობდა ტრაქტორი და არ ხდებოდა ნარჩენების გაუვნებელყოფა.

რატი კვანტრიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ნაგავმზიდი მანქანები გამოსული იყო მწყობრიდან და საჭიროებდა შეკეთებას, რის თაობაზეც მან არაერთხელ მიმართა მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, თუმცა პასუხი არ მიუღია. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტებით დასტურდება, რომ 2013 წლის თებერვალში, მარტში, აპრილში, ივნისში და ივლისში „ინფრასტრუქტურა 2008“-ის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და გაუვნებელყოფის მომსახურების ხარისხი და საბოლოო შედეგი მისაღები იყო თვითმმართველი ქალაქ ფოთისათვის.

რატი კვანტრიშვილმა გაფრთხილება გაასაჩივრა ფოთის საქალაქო სასამართლოში და სასამართლომ 2013 წლის 29 აგვისტოს სადავო საკითხი გადაუწყვეტლად ბათილად ცნო. ფოთის მერს კი ერთი თვის ვადაში არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა.

იმავე დღეს, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ფოთის მერმა შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ის დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა.

გათავისუფლების ბრძანებაში იგივე ფაქტობრივი გარემოებებია მითითებული, რაც გაფრთხილების მიცემისას. გამოდის, რომ ერთი და იგივე დარღვევაზე რატი კვანტრიშვილის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის 2 სახე – გაფრთხილება და სამსახურიდან გათავისუფლება.

თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებაში რამდენიმე განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებებიც არის მითითებული, თუმცა ყოველი მათგანი დაუსაბუთებელია და დარღვევების შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას არ შეიცავს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოთის მერის 2013 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით შპს „ინფრასტრუქტურა-2008“-სა და ფოთს შორის არსებული ხელშეკრულების დარღვევა შეფასებულია როგორც რატი კვანტრიშვილის მიერ შრომითი ხელშეკრულების დარღვევა და შესაბამისად, გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსი. „ინფრასტრუქტურა-2008“ სამართლებრივი ფორმით არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს სამეწარმეო სუბიექტს. სამეწარმეო სუბიექტის საქმიანობის სამართლებრივი ფორმები კი, რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და არა შრომის კოდექსით.

შპს „ინფრასტრუქტურა-2008“-სა და თვითმმართველ ქალაქ ფოთს შორის 2013 წლის 15 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება არის მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება და არა შრომითი ხელშეკრულება რატი კვანტრიშვილთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ რატი კვანტრიშვილის გათავისუფლებისას დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და ქალაქ ფოთის მერს დარღვეული უფლების აღსადგენად კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღების რეკომენდაციით მიმართავს.

**მედიანიუსი**

# პაატა ზაქარეიშვილი: მეშინია, რომ მოვა დრო და მივხვდებით, სააკაშვილი მართალი იყო“




მეშინია, რომ მოვა დრო და სააკაშვილი მართალი აღმოჩნდება. -ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა „ბიბისის“ რუსული რედაქციისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომელიც ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ეძღვნება.

ჟურნალისტი დაინტერესდა, მიიჩნევს თუ არა პაატა ზაქარეიშვილი, რომ თბილისსა და სოხუმს, ასევე თბილისსა და ცხინვალს შორის პირდაპირი დიალოგის განახლების შანსი არსებობს. ზაქარეიშვილის თქმით, როცა სააკაშვილი ამბობდა, რომ მათთან ურთიერთობას აზრი არ აქვს, რადგან ეს უკანასკნელები მხარეებს არ წარმოადგენენ და რუსეთის ხელში მხოლოდ მარიონეტები არიან, ისინი ბრაზობდნენ.

„ახლა, როცა მათ ურთიერთობას ვთავაზობთ, ისინი წინაპირობებს აყენებენ. იცით, მეშინია, რომ დადგება დრო და მივხვდებით – სააკაშვილი მართალი იყო. ეს არ მინდა. არ მინდა აღმოჩნდეს, რომ სინამდვილეში ოსები და აფხაზები საერთოდ არაფერს წყვეტდნენ და პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვა მხოლოდ მოსკოვთან მოგვიხდეს“, – აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, ჯერჯერობით დრო და მოთმინება ქართულ მხარესაც აქვს.

„ამ რეგიონებში ხომ ნამდვილად ბევრი პრობლემაა. აფხაზებსა და ოსებს უკეთეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში ცხოვრება სურთ. გამუდმებით გვესმის ჩივილი –– ამ რეგიონების მცხოვრებნი სადღაც არ შეუშვესო. არის სხვა პრობლემებიც. დასახმარებლად მზად ვართ, თუ ეს ჩვენზეა დამოკიდებული, მზად ვართ, პოლიტიკური საკითხები მინიმუმამდე დავიყვანოთ და ყურადღება მთლიანად ჰუმანიტარულ საკითხებზე გამახვილდეს. მაგრამ ეს პრობლემები სად განვიხილოთ? პირდაპირი მოლაპარაკებების ფორმატი ხომ არ არსებობს?“ –– აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა.

**მედიანიუსი**

## შვეიცარიასთან სავიზო პროცედურები გამარტივდა

შვეიცარიასთან სავიზო პროცედურები გამარტივდა. საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ინფორმაციით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და შვეიცარიის ფედერალურმა კანცლერმა დიდიე ბურქჰალტერმა შესაბამის ხელშეკრულებას 2013 წლის 13 სექტემბერს მოაწერეს ხელი. მის თანახმად, გრძელვადიანი მრავალჯერადი ვიზების გაცემაა გათვალისწინებული. სავიზო მოსაკრებელი 35 ევროთი, ვიზის გაცემის ვადა კი მაქსიმუმ 10 დღით განისაზღვრა.

,,ეს ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ეყრდნობა, რომელიც შენგენის სივრცეში სავიზო პროცედურების სტანდარტიზაციას ემსახურება. ამ ხელშეკრულებით მარტივდება გრძელვადიანი მრავალჯერადი ვიზების გაცემა მთელი რიგი ადამიანებისათვის, როგორებიც არიან: ბიზნესმენები, ჟურნალისტები და ასევე საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთა ოჯახის წევრებსაც შვეიცარიაში ცხოვრების უფლება აქვთ. გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში 90 დღემდე ყოფნის უფლებით გაცემული ვიზის მოსაკრებელი განისაზღვრება 35 ევროთი 60 ევროს ნაცვლად. მოსაკრებელი ეროვნული ვიზებისათვის 90 დღეზე მეტი დარჩება უცვლელი და იქნება 60 ევრო. მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელი იქნება დოლარშიც, გაცვლითი კურსის შესაბამისად“, –– ნათქვამია შვეიცარიის საელჩოს ინფორმაციაში.

2014 წლის 1 იანვრიდან შვეიცარიასთან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე მაია ფანჯიკიძემ 2013 წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზეც ისაუბრა.

**მედიანიუსი**

## ახალი წლის ღამეს კარების ჩაკეტვის ფაქტზე 70-ზე მეტი გამოძახება დაფიქსირდა

ახალი წლის ღამეს სახანძრო-სამაშველო სამსახურში კარების ჩაკეტვის გამო 70-ზე მეტი გამოძახება დაფიქსირდა.

როგორც „მედიანიუსს“ სახანძრო– სამაშველო სამსახურში განუცხადეს, 31-შივე სახანძრომ პიროტექნიკისგან გამოწვეული ცეცხლის კერების ჩასაქრობად 54 გასვლა განახორციელა. ანალოგიური შემთხვევები დაფიქსირდა პირველ და 2 იანვარს. სახანძრო–სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, პირველ იანვარს მთელი ღამის განმავლობაში ხეებსა და ფოთლებზე პიროტექნიკით გამოწვეულ ხანძართან დაკავშირებით 20 გამოძახება დაფიქსირდა, 53 გამოძახება – კარებისა და ლიფტებში ჩაკეტვის.

რაც შეეხება სიმთვრალით გამოწვეულ ავტოავარიებს, სახანძრო-სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, მსგავსი შემთხვევა მხოლოდ პირველ იანვარს დაფიქსირდა, სადაც სამაშველო სამსხურის დახმარება საჭირო არ გახდა.

**მედიანიუსი**

## ხანძრის შედეგად რამდენიმე ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა

თბილისში, ჩუღურეთის რაიონში გუშინ გაჩენილი ხანძრის შედეგად რამდენიმე ოჯახი ქუჩაში დარჩა. მათ ბინები დაეწვათ.

წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლი ჩაის უბნის №18-ში გაჩნდა და შემდეგ კიდევ ორ სხვა სახლზე გადავიდა. სავარაუდოდ ცეცხლი სიგარეტის ნამწვავმა ან შეშის ღუმელმა გამოიწვია. დაწყებულია გამოძიება. ჩუღურეთის გამგებელი დაზარალებულებს დახმარებას დაჰპირდა.

,,მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს უმრავლესობამ 2014 წლის ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირა, ჩვენ ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ მოსახლებას ჰქონდეს საშუალება თაიანთ სახლებში დაბრუნდნენ ,,, – განაცხადა ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა დავით დაღელაშვილმა.

**მედიანიუსი**

## აფხაზეთი სოჭის ოლიმპიადაზე 500 საავტომობილო აკრედიტაციას მიიღებს

სოჭის ოლიმპიადისთვის ტვირთის გადაზიდვების ორგანიზაციის დეპარტამენტი იმ ავტომობილებზე აკრედიტაციებს გასცემს, რომლებიც სოჭის 2014 წლის ოლიმპიადას მოემსახურებიან. „აპსნი.რუ“-ს ცნობით, საქმე ეხება ქალაქის საკვები პროდუქტებით და ფართო გამოყენების ნივთებით მომსახურებას.

სოჭის ოლიმპიადისთვის ტვირთის გადაზიდვების ორგანიზაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის დამირ იაკვაშევის განცხადებით, დღეს-დღეობით სოჭის ოლიმპიადისთვის ტვირთების გადაზიდვების ორგანიზაციაში 21 ათასი განაცხადია უკვე დარეგისტრირებული. გაცემულია სამი ათასი დაშვება, კიდევ 3 ათასს დადებითი პასუხი გაეცა და რიგში იმყოფებიან. აკრედიტაციების გაცემა უკვე დაწყებულია და 7 იანვრამდე დასრულდება.

მისივე თქმით, იმისათვის, რომ აფხაზეთი ოლიმპიადის დროს არ აღმოჩნდეს „სასაქონლო ბლოკადაში“, აფხაზურ მანქანებზე 500 აკრედიტაცია გაიცემა და ავტომობილებს ექნებათ წარწერა „აფხაზეთი“.

**მედიანიუსი**

# გიორგი მარგველაშვილმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსი გამოაცხადა



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების შესახებ, დღეს სპეციალური განკარგულება გამოსცა, რომელსაც „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

„1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 და მე-14 პუნქტების შესაბამისად, 2014 წლის 3 იანვრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ყველას კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

3. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, რომელსაც აქვს ეკონომიკის, საჯარო ადმინისტრირების, ბიზნესადმინისტრირების, სამართლის, ელექტრონული კომუნიკაციების ან ჟურნალისტიკის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, 3 წლისა — მმართველ თანამდებობაზე.

4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

გ) ავტობიოგრაფია;

დ) უმაღლესი განათლების (შესაბამისი სპეციალობის) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ვ) არანაკლებ 10 წლის (აქედან 3 წელი მმართველ თანამდებობაზე) მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრისათვის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს;

თ) სარეკომენდაციო წერილები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. საბუთები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. №1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

6. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შექმნას საკონკურსო კომისია და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები“ — ნათქვამია პრეზიდენტის განკარგულებაში.

**ნიუსპრესი**

# პატიმრის გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად ექიმის შეცდომა სახელდება



ენტს 31 დეკემბერს აღენიშნებოდა ტკივილი მუცლის არეში, ჭიპის გარშემო. ქირურგმა კონსულტაციის შედეგად ქირურგიული შემთხვევა გამორიცხა და მედიკამენტური მკურნალობა სიმპტომურად დაუნიშნა. შემდგომი 2 დღის განმავლობაში ექიმების ინფორმაციით, კლინიკური სურათი არ შეცვლილა, თუმცა პაციენტი რაიმე სპეციალიზებული ჩარევის გარეშე გარდაიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ ჩარევის საჭიროება აშკარად იკვეთებოდა.

სასწრაფო სამედიცინო სამსახური, ან კატასტროფის მედიცინის ბრიგადა გამოძახებული არ ყოფილა. სავარაუდოდ სახეზე ექიმის შეცდომაა“ — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

შემთხვევის შესწავლის მიზნით, სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალური ინსპექციის და სამედიცინო დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მიერ ერთობლივი მუშაობაა დაწყებული. მიმდინარეობს გამოძიებაც. გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაა დანიშნული.

ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, 30 წლის პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების სამინისტრო განცხადებას ავრცელებს და მიიჩნევს, რომ გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი ექიმის შეცდომაა.

„პენიტენციური სისტემის ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში გარდაცვლილი 1983 წელს დაბადებული მსჯავრდებული დ.გ., ტუბერკულოზითა და აივ/შიდსით იყო დაავადებული. 2013 წლის 27 დეკემბრიდან მას ანტიტუბერკულოზური მკურნალობა უტარდებოდა. შესაძლო შედეგების შესახებ ექიმების მიერ არაერთგზის ინფორმირების მიუხედავად, აივ/შიდსი-ს საწინააღმდეგო ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე პაციენტს წერილობითი უარი ჰქონდა გაცხადებული.

წინასწარი მონაცემებით, პაცი-

**ნიუსპრესი**

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ მეცნიერებათა აკადემიის წევრთან, პროფესორ თემურ ნანეიშვილთან

# თემურ ნანეიშვილი: ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და სამართლიანობა აღადგინოს“



***— ბატონო თემურ, საზოგადოება აქტიურობს ახალი პროკურორის შერჩევის კუთხით. როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?***

— მართლაც დადებით მოვლენად მიმაჩნია, რომ საზოგადოებას ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია. საზოგადოებას, პირველ რიგში, ანგარიში, ვფიქრობ, ყოფილმა მთავარმა პროკურორმა გაუწია. რეალურად, სამოქალაქო საზოგადოება მაშინ იქმნება, როდესაც მას უსმენენ და მის აზრს ხელისუფლება კი არ უგულებელყოფს, არამედ ითვალისწინებს, ანგარიშს უწევს. ჩვენ აქამდე ვამბობდით, რომ სამოქალაქო საზოგადოება არსებობს, სინამდვილეში კი სამოქალაქო საზოგადოება ის არის, რომლის აზრსაც ხელისუფლება ითვალისწინებს. აქამდე ხომ სამოქალაქო საზოგადოების აზრს ყოფილი ხელისუფლება არ ითვალისწინებდა. როდესაც საზოგადოება, მე არ ვსაუბრობ ვიწრო ჯგუფზე, გარკვეულწილად დაინტერესებულ მხარეზე, არამედ ზოგადად სამოქალაქო აქტივისტებზე, აქტიურ მოქალაქეებზე, რომლებიც ქვეყნის მომავალზე ზრუნავენ, რაღაცას მოითხოვს, ის ხელისუფლებამ უნდა შეისმინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება წინააღმდეგობაში მოდის საერთოდ არჩევნების იდეასთან, რადგან ხელისუფლებას სწორედ ხალხი, საზოგადოება ირჩევს.

***— ჩვენ ვნახეთ, რომ მთავარ პროკურორთან დაკავშირებით ადამიანები კონკრეტული მოთხოვნით გამოდიან, ეს მისაღებია?***

— ცხადია. ახალი მოთხოვნით გამოდიან ადამიანები და კონკრეტულ პიროვნებას ასახელებენ. რა თქმა უნდა, ეს კონკრეტული საკითხიც უნდა შეისწავლოს ხელისუფლებამ და სწორედ ის ადამიანი უნდა დანიშნოს მთავარ პროკურორად, რომელიც საზოგადოების ნდობას, მხარდაჭერას იმსახურებს. ზოგადად ასეთი დამოკიდებულება საზოგადოების, რომ ის აქტიურია და სულ ერთი არ არის მისთვის, თუ ვინ იქნება, დადებით მოვლენად მიმაჩნია.

***— სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა მნიშვნელოვანია ზოგადად ქვეყნისთვის, რაც, თქვენ ამბობთ, ყალიბდება?***

— რასაკვირველია, სწორედ ამ გარემოებას გავუსვი ხაზი. რასაც სამოქალაქო საზოგადოება ჰქვია, ის ყალიბდება. ეს არის ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როდესაც ხელისუფლებამ ხალხის მოთხოვნა გაითვალისწინა. მუდმივად იყო საუბარი, რომ მთავარი პროკურორი არ უნდა იყოს ნასამართლევი, რაც არ უნდა კანონთან წინაალმდეგობაში არ უნდა იყოს, თუნდაც მას ბავშვობაში ჰქონდეს დანაშაული ჩადენილი. ეს დაუწერელი კანონია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მით უმეტეს — საეჭვო წარმომავლობის დიპლომით. საზოგადოება გაიზარდა და ამ ფაქტებს სათანადო ყურადღება მიაქცია. ეს კი ძალიან სასიამოვნო მომენტია ჩემთვის.

***— მთავარი პროკურორის პოსტზე დასახელებულ კანდიდატებს როგორ შეაფასებთ?***

— პირადად ვიცნობ და მართლაც ვენდობი კახი კახიშვილს. მომწონს, ძალიან კარგი ახალგაზრდაა. მე როგორც ვიცი, პრინციპული პიროვნებაა, სათანადო ცოდნაც აქვს მიღებული. ამავდროულად, საზოგადოების ნდობაც აქვს. არ ვიცი, ხელისუფლება რა გადაწყვეტილებას მიიღებს, შეიძლება, უკეთესი კანდიდატიც ჰყავდეს, ვერ გეტყვით, როგორ შეიძლება, ამ მიმართულებით მოვლენები განვითარდეს. თუ კახიშვილი არ იქნება ხელისუფლების არჩევანი, მაშინ ნამდვილად უკეთესი უნდა იყოს ამ კანდიდატზე. მთავარი პროკურორი ძალიან მნიშვნელოვანი პოსტია, მით უფრო ამ ეტაპზე, როდესაც სამართლიანობის აღდგენა დასაწყებია. საზოგადოება მართლაც მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას. ძალიან მწყდება გული, როდესაც ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები გამოდიან და აცხადებენ, რომ სამართლიანობას ვერ აღადგენენ, რადგან ეს ბიუჯეტს მძიმედ დააწვება. ნაციონალურმა მოძრაობამ მართლაც იმდენი ადამიანი გააუბედურა, იმდენ ადამიანს წაართვა ბიზნესი, მაგრამ საზოგადოების მოთხოვნა პირველ რიგში ის არის, რომ დაზარალებული, გაუბედურებული ადამიანი დამნაშავის იარლიყით არ დადიოდეს. ის მაინც უთხრას ხელისუფლებამ, რომ დამნაშავე არ არის და, პირიქით, დაჩაგრულია. შეიძლება, ვალის გადავადება მოხდეს ან სხვა რაღაც მოიფიქროს ხელისუფლებამ. ყოველი შემდეგი ხელისუფლება წინა ხელისუფლების სამართალმემკვიდრე არის და, შესაბამისად, ეს ვალიც გადადის.

***— ახალი მთავარი პროკურორი სამართლიანობის აღდგენის პროცესს დაიწყებს?***

— უნდა დაიწყოს, სხვანაირად შეუძლებელია. ზოგადად იურისპრუდენციის მიზანიც სწორედ ეს არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, რად მინდა იურისპრუდენცია?! გამოდის, რომ ლინჩის წესს უნდა დავუბრუნდეთ? ეს კი ნამდვილად არ გვინდა. ამის გაკეთება დაუშვებელია, არ შეიძლება. თუ ხელისუფლებამ ეს პრობლემა დროზე არ გადაჭრა, მაშინ ხალხი თავისი ნებით დაიწყებს მოქმედებას, ეს კი ძალიან ცუდ, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს. წარმოიდგინეთ, ადამიანებს 7, 8, 10 წელიწადი ჰქონდათ მისჯილი ტყუილად, თან ბიზნესი წაართვეს, გააუბედურეს. ახლა თითქოს არაფერი და ეს ვილაცას უნდა ეპატიოს. ასე არ გამოვა, არ შეიძლება, რომ ამ ფონზე სამართლიანი სახელმწიფოს დაშენება დავიწყოთ.

***— თქვენ ამბობთ, გაფუჭებული უნდა გასწორდეს?***

— დიახ, ასეა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი არ გამოვა. ჩვენ ხანდახან ცუდად რომ მოგვესალმება ადამიანი იმაზე ვბრაზდებით და ვიბოღმებით და წარმოიდგინეთ უსამართლობის განცდა ახალი ხელისუფლების პირობებში რას გამოიწვევს, მით უფრო მაშინ, როდესაც ადამიანებს მოლოდინი გაუჩნდათ, იმედი ჩაესახათ. ციხეებში როგორ პირობებში ჰყავდათ ეს ადამიანები, ხომ ქვეყანამ იცის? ასეთი შეურაცხყოფილი ადამიანები, რა თქმა უნდა, სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ, სხვანაირად არც გამოვა.

***— სამართლიანობის აღდგენას შვილმკვდარი მამებიც ითხოვენ, რომლებიც საპროტესტო გამოსვლებს არ გამორიცხავენ. ამ მიმართულებით საქმეები გაიხსნება?***

— სხვანაირად წარმოუდგენელია. 125-მდე ახალგაზრდაა ქუჩაში ჩახოცილი იმ მოტივით, რომ შეიძლება დანაშაული ჩაიდინონ, ასეთი რამ ხომ წარმოუდგენელია, ეს ჰიტლერმა გააკეთა, როდესაც გემში ნარკომანები ჩასვა და შუა ზღვაში ააფეთქა. ეს ხომ სწორი ქმედება არ იყო!

***— ბატონო თემურ, გასულ წელს რომელი სამინისტროს მუშაობას გამოარჩევდით და, პირიქით, რომელი სამინისტროს მუშაობით ხართ უკმაყოფილო?***

— ვფიქრობ, იუსტიციის სამინისტრომ არა უშავს ისე იმუშავა, მაგრამ მეტი მოეთხოვება. ჩემი აზრით, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო კარგად მუშაობს. ევროინტეგრაციის, დიასპორის სამინისტროებიც, რომლებიც საჭირო სამინისტროები არიან. სამწუხაროდ, ასე ვერ შევაფასებდი განათლების სამინისტროს მუშაობას. შეიძლება, განათლების სფეროში რაღაცას აკეთებს, მაგრამ მეცნიერების სფეროში წინა არ გადადგმულა ერთი ნაბიჯი. მე ვიტყოდი, პირიქით, უკან და უკან მიდის საქმე. სრულიად არაკომპეტენტური ადამიანები უდგანან სათავეში. ეს ადამიანები არ არიან მეცნიერების ორგანიზატორები და მეცნიერებაში ნამუშევარი. მეცნიერების ორგანიზება უნდა მოახდინონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც მეცნიერებაში უმუშავიათ. ჩვენ, მეცნიერებს, სიახლოვეს არ გვაკარებენ.

***— რატომ?***

— ვერ გეტყვით. მაგალითად, მეცნიერებათა აკადემია, კანონში განსაზღვრულია, რომ ხელისუფლების მრჩეველია, მაგრამ მეცნიერებათა აკადემია მეცნიერების ორგანიზების საკითხში იგნორირებულია. მის რჩევას არ ითვალისწინებენ. ჩვენ ვიცით ეს საქმე, მაგრამ ჩვენ არ გვეკითხებიან. მოვითხოვეთ პროექტის გასაჯაროება, რის პასუხადაც მივიღეთ ლომაიას გეგმის სასწრაფო რეალიზება.

# რას აპირებენ ნოტარიუსები

შორენა გონგლაძე

**საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ 2013 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში გამოაქვეყნა. როგორც უწყებაში აღნიშნავენ, 2013 წელი საქართველოს ნოტარიატისთვის გამოირჩეოდა ნოვაციური სანოტარო სერვისის დანერგვით, მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდით, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებით. ნოტარიუსთა პალატის მთავარი პრიორიტეტები არ იცვლება – ხარისხიანი, გამარტივებული, უსაფრთხო, ხელმისაწვდომი სერვისების დანერგვა და დახვეწა.**




ნოტარიუსი საქართველოში 30-მდე ფუნქციას ასრულებს. არის ფუნქციები, რომელიც ექსკლუზიურად ნოტარიუსის კომპეტენციაა. სერვისების ნაწილი ექსკლუზიური არ არის, სამაგიეროდ, ნოტარიუსთან მიმართვის შემთხვევაში დაცვისა და უსაფრთხოების გარანტიები მეტია. ამასთან, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სანოტარო მოქმედებები ონლაინ რეჟიმში სრულდება. გასული წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე 1 345 158 სანოტარო მოქმედება შესრულდა. 39 400 სანოტარო აქტი ინტერნეტის მეშვეობით დამოწმდა. 2010 წლიდან ონლაინ რეჟიმში მოწმდება განცხადება, თანხმობა, მინდობილობა/რწმუნებულება, ასევე, გარიგება, ოღონდ, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. 23 899 სამკვიდრო მოწმობა გაიცა. სამკვიდრო მოწმობა მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია, რომელსაც გასცემს მხოლოდ ნოტარიუსი. იმისთვის რომ მემკვიდრეობით დანატოვარი ქონების მესაკუთრე გახდეთ, აუცილებელია, გქონდეთ სამკვიდრო მოწმობა; 1 983 ანდერძი დამოწმდა სანოტარო წესით. ანდერძი გარდაცვლილი პირის ქონების სხვა პირთათვის (როგორც მემკვიდრეების, ასევე გარეშე პირებისთვის) გადაცემის ერთ-ერთი ფორმა. მოსალოდნელი გაუგებრობისა და რისკებისგან თავის დაცვის მიზნით, სასურველია, ანდერძი დამოწმდეს სანოტარო წესით; 7 948 იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა ნოტარიუსთან. იპოთეკის ხელშეკრულებით განისაზღვრება ვალდებულება მოვალესა და კრედიტორს (იპოთეკარს) შორის. იპოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება, როგორც კრედიტორისთვის, ასევე, მოვალისთვის, სანდოობის, უსაფრთხოების გარანტს წარმოადგენს.

2013 წლის პირველი ოქტომბრიდან ამოქმედდა სანოტარო მედიაცია საქართველოში. სანოტარო მედიაცია სამოქალაქო დავების (საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო, ქონებრივი თუ არაქონებრივი ხასიათის...) მოგვარების ალტერნატიული ფორმაა. მოდავე მხარეები, სასამართლოს ნაცვლად, მიდიან მედიატორ ნოტარიუსთან, რომელიც მათ ეხმარება მოლაპარაკების დაწყებასა და დავის მორიგებით დასრულებაში. მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ დგება სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტი – სანოტარო აქტი. აღნიშნული აქტით განსაზღვრულია მოდავეთა ვალდებულებები. სანოტარო მედიაციის პროცესი შესაძლებელია შესრულდეს, მოდავე მხარეები მოთხოვნის შესაბამისად, როგორც სანოტარო ბიუროში, ასევე, მის გარეთ. მედიატორის ფუნქციის შესრულება ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ 170 ნოტარიუსს შეუძლია. მათი კოორდინატები განთავსებულია ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე. გასულ წელს საქართველოს 11 რეგიონიდან, სადაც სანოტარო ბიურო არ მოქმედებდა, 8 რეგიონში დაინიშნა ნოტარიუსი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ნოტარიუსთა პალატის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ამიტომაც, გასულ წელს დანიშნული ნოტარიუსების უმრავლესობა სანოტარო მოქმედებას ახორციელებს იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც საერთოდ არ მოქმედებდა სანოტარო ბიურო, ან ნოტარიუსთა რაოდენობა არასაკმარისი იყო მოსახლეობის სრულფასოვანი მომსახურებისთვის. რეგიონებში დანიშნულ ნოტარიუსებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა მაქსიმალურად ეხმარება ბიუროს მოწყობაში, ტექნიკურად აღჭურვასა და სანოტარო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაში.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ საქართველოს ქმედებაუუნარო მოქალაქეთა ელექტრონული ბაზა შექმნა, რაც სანოტარო მოქმედების შესრულებისას მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის დამატებითი მექანიზმია. ნოტარიუსი ნებისმიერი სანოტარო მოქმედების შესრულებისას ამოწმებს მონაწილე პირთა ქმედებაუნარიანობას მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით. გადამოწმება განსაკუთრებით აქტუალურია გარიგებების გაფორმების დროს. აღნიშნული ელექტრონული ბაზის შექმნა ნოტარიუსს მნიშვნელოვნად გაუადვილებს სანოტარო საქმიანობას. შესაბამისად, გამარტივდება მოქალაქეთა (მათ შორის ქმედუუნარო მოქალაქეების) ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვაც. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებულ სრულწლოვან მოქალაქეთა მონაცემები ნოტარიუსთა პალატას სოციალური მომსახურების სააგენტომ გადმოსცა.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრი 2010 წელს შეიქმნა. მის ძირითად ფუნქციას ნოტარიუსობის მსურველ სტაჟიორთა მომზადება, ნოტარიუსებისა და მათი თანაშემწეების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა წარმოადგენს.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის წევრი 2007 წლიდან გახდა და მას შემდეგ აქტიურად მონაწილეობს და მასპინძლობს საერთაშორისო კონფერენციებს, შეხვედრებს. ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის წევრი 86 ქვეყნის ნოტარიატი დაფუძნებულია ლათინური ნოტარიატის პრინციპებზე. ეს კი გულისხმობს, რომ ნოტარიატი ქვეყანაში სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რგოლია. ნოტარიუსი სანდო, მიუკერძოებელი მრჩეველია და უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებისა და ქონების უსაფრთხოდ დაცვას.

# რუსეთი მძღოლებისთვის სავიზო რეჟიმს ამსუბუქებს

შორენა გონგლაძე

**2013 წლის 27 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროდან შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის საშუალებით ქართულმა მხარემ ოფიციალურად მიიღო ინფორმაცია საქართველოს გადამზიდველებისათვის (მძღოლებისათვის) რუსეთის ფედერაციის ვიზების გამარტივებული წესით მიღების თაობაზე.**

როგორც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში აღნიშნავენ, აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ, რაც უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ვებგვერდზე ქართველ გადამზიდველებზე, პრიორიტეტულ რეჟიმში (წინასწარი ჩაწერის გარეშე), იქნება გაცემული საქმიანი მრავალჯერადი ვიზები ერთი წლის ვადით. ვიზის გაფორმების საკონსულო მოსაკრებელი დაჩქარებული წესით (3 სამუშაო დღეში) გაფორმებისათვის შეადგენს 310 აშშ დოლარს, ხოლო ჩვეულებრივ რეჟიმში (10 სამუშაო დღეში) გაფორმებისათვის – 160 აშშ დოლარს.

ეკონომიკის სამინისტრო განმარტავს, რომ რუსეთის ფედერაციასთან საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლა რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ 1994 წლის 3 თებერვლის შეთანხმებით, რომელიც ძალაშია 1994 წლის 6 ივნისიდან. თუმცა 2006 წლის 2 ოქტომბრიდან, რუსეთის ფედერაციის ინიციატივით, საქართველოსთან შეწყვეტილ იქნა საავტომობილო მიმოსვლა.



2012 წლის განმავლობაში საავტომობილო მიმოსვლის აღდგენის საკითხზე მიმდინარეობდა კონსულტაციები რუსეთის მხარესთან და 2012 წლის ბოლოს, 2006 წლის შემდეგ პირველად რუსეთის ფედერაციიდან გადმოგზავნილი იქნა საერთაშორისო სატვირთო საავტომობილო გადაზიდვის კვოტირებული ნებართვის ბლანკები (1000 ერთეული). აქვე, 2013 წლის 6-7 აგვისტოს ქ. მოსკოვში გაიმართა საავტომობილო ტრანსპორტის რუსეთ-საქართველოს შერეული კომისიის სხდომა, რომელსაც საქართველოს მხრიდან უძღვებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს" ხელმძღვანელი. სხდომაზე განხილული იყო ორ ქვეყანას შორის 2006 წლის შემდეგ შეწყვეტილი საერთაშორისო საავტომობილო სამგზავრო მიმოსვლის და სატვირთო გადაზიდვების აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე გაიცვალა საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვისა (500 ერთეული ორმხრივი და ტრანზიტული გადაზიდვის და 20 ერთეული მესამე ქვეყნიდან/ქვეყანაში გადაზიდვის) და არარეგულარული სამგზავრო გადაყვანის (10 ერთეული) ნებართვების ბლანკები. საყურადღებოა, რომ სწორედ აღნიშნული კომისიის სხდომაზე ქართული მხარის მიერ პრინციპულად იქნა დასმული – საქართველოს გადამზიდველებისათვის ვიზების გამარტივებული წესით მიღებასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარება შესაძლო მოკლე ვადაში. მოლაპარაკების დროს რუსეთის მხარის დელეგაციის წარმომადგენლებმა გამოხატეს მზადყოფნა ამ საკითხის დროულად გადაწყვეტის თაობაზე, რაც ოფიციალურად დაფიქსირდა მხარეებს შორის გაფორმებულ ოქმშიც.

ზემოაღნიშნული კომისიის ჩატარების შემდეგ, დღეისათვის 2013 წელს გაცვლილი ნებართვებიდან საქართველოს გადამზიდველების მიერ ათვისებულია 500 ერთეული ორმხრივი და ტრანზიტული გადაზიდვის და 20 ერთეული მესამე ქვეყნიდან/ქვეყანაში გადაზიდვის ნებართვა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები 2014 წელს მხარეებს შორის გასაცვლელი ნებართვების რაოდენობის შეთანხმების თაობაზე. ქართველი გადამზიდველებისათვის რუსეთის ვიზების მიღების პროცედურების გამარტივება ხელს შეუწყობს საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე-გადამზიდველების დასაქმებას ორმხრივი და ტრანზიტული სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო მიმოსვლის სფეროში, ასევე ორ ქვეყანას შორის სატვირთო და სამგზავრო გადაყვანა/გადაზიდვების მოცულობების ზრდას სახმელეთო გზის ხელმისაწვდომობის, აგრეთვე ტრანსპორტირებისათვის საჭირო დროისა და თვითღირებულების შემცირების ხარჯზე, რაც ქვეყნებს შორის სავაჭრო ტვირთბრუნვის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი და კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

## დეკემბერში ინფლაციამ 1,5 პროცენტი შეადგინა

2013 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 1,5 პროცენტი შეადგინა. საქსტატის ინფორმაციით, ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასების ცვლილებამ იქონია. აღნიშნულ ჯგუფში ფასები 4,8 პროცენტით გაიზარდა. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა დეკემბრის თვის ინფლაციაში 1,49 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

ინფლაციის ზრდა განპირობებულია ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე ფასების 31,7 პროცენტიანი მატებითაც. ფასები გაიზარდა ასევე რძის, ყველის და კვერცხის ქვეჯგუფზე (1,7 პროცენტი). ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე კი ფასები შემცირდა (-3,5 პროცენტი).

მოცემულ საანალიზო პერიოდში ფასების 0,9 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირის ჯგუფზე, რაც დეკემბრის თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,08 პროცენტულ პუნქტიანი წვლილით აისახა. ჯგუფში ფასები გაიზარდა მყარ საწვავზე (12,8 პროცენტი).

ამასთან, ფასები 0,9 პროცენტით შემცირდა ჯანმრთელობის დაცვაზე, ხოლო ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციაში -0,08 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები შემცირდა ფარმაცევტულ ნაწარმზე (-1,9 პროცენტი) და სტომატოლოგიურ მომსახურებაზეც (-2,3 პროცენტი).

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობის განცხადებით, ლარის კურსის ცვლილება მათ მდგომარეობაზეც აისახა



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის" მიერ, მიმდინარე წლის 27 დეკემბრიდან 3 იანვრამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ლარის კურსის ცვლილება მათ ფინანსურ მდგომარეობაზე აისახა.

კითხვაზე – „აისახა თუ არა თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე ლარის კურსის ვარდნა," გამოკითხულთა 69,3 პროცენტმა დადებითად უპასუხა, 26,9 პროცენტის აზრით კი, ლარის ინფლაციას მათ ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 3,8 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

## ავღანეთში მყოფმა ქართველმა ჯარისკაცებმა ახალი წელი ბაზა ლეზერნიკზე" კონცერტით აღნიშნეს

აისაფ-ის მისიაში მონაწილე ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა ახალი წლის დადგომა ავღანეთში აღნიშნეს. საქართველოს შეიარაღებული ძალების 31-ე და ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონები, ახალ 2014 წელს ბაზა „ლეზერნიკზე" შეხვდნენ.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 31-ე ბატალიონის შტაბში გამართულ საზეიმო მიღებას, ქართველ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, ტაქტიკური-დაჯგუფება „ბელავუდის" ხელმძღვანელობა და კოალიციაში შემავალი ქვეყნების სამხედრო მეთაურობაც დაესწრო.

მოწვეულ სტუმრებს ქართველმა სამხედროებმა ახალი წელი კონცერტით მიულოცეს. ჯარისკაცებისგან შემდგარმა ფოლკლორულმა ანსამბლმა სპეციალურად ახალი წლისთვის დადგმული ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები შეასრულა. ცერემონიის ბოლოს, საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ჩატარებულ სპორტულ და ინტელექტუალურ ღონისძიებებში გამარჯვებული 18 სამხედრო ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით დააჯილდოვეს.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში გამოჩენილი დამსახურებისთვის, 31-ე ბატალიონის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა გიორგი მეშველიანმა, ბატალიონის 30 სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლები „სამშობლოსათვის

ნიუსპრესი

# როგორია ცხენის წელი ზოდიაქოს ნიშნებისთვის?

ეკა ირემაშვილი

როგორია ზოგადი ასტროლოგიური პროგნოზი ზოდიაქოს ნიშანთათვის ცხენის წელიწადში, ამ თემაზე „ახალ თაობას“ ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ესაუბრება:

**ვერძი** – მანდილოსნებს წელს მოუხდებათ აქცენტების საკუთარი თავიდან გადატანა პარტნიორული ტანდემების შექმნაზე ყველა სფეროში ცხოვრებისა. უნდა ისწავლოთ შედეგის მიღწევა სხვებზე დაყრდნობით, სხვათა ნდობის გამართლებით და დაპირების ბოლომდე მიყვანით, ეს საკითხები მოითხოვენ შესაბამის ყურადღებას ცხენის წელიწადში. შემოქმედებითი ფანტაზია და ენერგიული მოქმედება ხელს შეუწყობს საინტერესო იდეების რეალიზებას. პირად ცხოვრებაში შეძლებთ ურთიერთობების გაუმჯობესებას ახლობელ და საყვარელ ადამიანებთან. კარიერაში განსაკუთრებული იმედი და ფსონი წინსვლისა ნუ გექნებათ, რადგან ყოველივე ამას გარკვეული მიზეზები შეაფერხებენ. ვერძი მამაკაცები წელს შესაძლებელია გამოწვევის ცდუნების წინაშე აღმოჩნდნენ. აუცილებლობა საკუთარი ინტერესების დაცვისა და ახლობლების დახმარებისა მოითხოვს მოკავშირეთა თანადგომას. უარს ნუ იტყვით ახლობელთა დახმარებაზე და გამოავლინეთ შეუპოვრობა იქ, სადაც ეს საჭირო და გამართლებულია. კარიერაში წლის პირველი ნახევარი სერიოზული კონკურენციის პირობებში წარიმართება. ოქტომბერი-დეკემბერი გრანდიოზული გეგმების, სურვილების, ოცნებების რეალიზების ასრულების დროა. გაიხსენით სიყვარულის წინაშე. იყავით რომანტიკული, მოიწყვეთ დღესასწაული. კოლეგებს შეგიძლიათ დაეყრდნოთ, მეგობრულ ურთიერთობებს კი საგამოცდო პერიოდი დაუდგება, ზედმეტად აგრესიული რეაქცია გექნებათ მიმდინარე მოვლენებზე, ამიტომ მეტი თავდაჭერა გმართებთ.

**კურო** – მანდილოსნებს ბრძენი პლანეტა იუპიტერი წელს მოგცემთ იმას, რაც ყველაზე მეტად გჭირდებათ. მარტამდე გაუმჯობესდებიან თქვენი საკომუნიკაციო შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს სამსახურებრივი და მატერიალური პერსპექტივების გაუმჯობესებას. პლანეტა სატურნის რეტროგრადული მოძრაობის შედეგად მარტი-ივლისში თქვენს ურთიერთობებში მოსალოდნელია ცვლილებები. კონფლიქტები პარტნიორთან, ახლობლებთან, სამსახურში განაპირობებენ პირადი ურთიერთობების გადახედვასაც. მარტამდე კარგია პროფესიონალური საქმიანობის დაწყება. მამაკაცებს პლანეტა პლუტონი გაიძულებთ მეტი იფიქროთ ცხოვრების არსსა და კეთილმოწყობაზე, ცოდნის გაფართოებასა და თავგადასავლებზე. ახალი ცოდნა შინაგან კმაყოფილებას მოგიტანთ და ხელს შეუწყობს სოციუმში თქვენი ამბიციების რეალიზაციას. იანვრის დასაწყისში შესაძლებელია აღმოჩნდეთ სახლიდან შორს, რომანტიკული თავგადასავლის წინაშე. წლის პირველი ნახევარი თქვენგან მოითხოვს შეუპოვარ შრომას, ხელმძღვანელებთან საკითხების გარკვევას სამსახურში ან ბიზნეს ჯგუფში. თებერვალი, აპრილი, სექტემბერი თქვენს ცხოვრებაში შემოიტანენ მოულოდნელ სიურპრიზებს. თქვენ შეძლებთ მშობლებთან, ახლობლებთან, საკუთარ თავთან დაშვებული შეცდომების გამოსწორებას და ამით თქვენს იღბალში სასიკეთო ცვლილებების შეტანას.

**ტყუპები** – მანდილოსნებო, წლის პირველ ნახევარში თქვენი ცხოვრებისეული ფასეულობები შეიცვლებიან ისევე, როგორც თქვენი ხედვა რომანტიკული ურთიერთობებისა. ენერგია მიმართეთ შემოქმედებაზე. თქვენ უნდა ისწავლოთ, იყოთ ბედნიერი და მხიარული ნებისმიერ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, რაშიც დაგეხმარებიან ახლობელი ადამიანები და მათი მხარდაჭერა. წლის პირველ ნახევარში თქვენი ვნებით არაერთხელ გააოცებთ პარტნიორს. მოიმატებს სურვილი სიყვარულის უფრო მგრძნობიარედ გამოვლენისა. წელს კარგად გამოჩნდება რამდენად შრომისუნარიანი ხართ. მიზნის მიღწევა სირთულეების გადალახვასთან იქნება დაკავშირებული, რაც თქვენგან ითხოვს მეტ მოთმინებას, სიმშვიდეს, მიზანსწრაფვას. მამაკაცებში ზამთარი გააღვივებს დაინტერესებას ფილოსოფიის, განათლების, კულტურის, რელიგიის, ისტორიის, კანონის მიმართ. ამ თემებზე ნუ იკამათებთ ხელმძღვანელებთან. აგვისტომდე იმყოფებით დროსტარებისთვის შესაფერისი პარტნიორების ინტენსიურ ძიებაში. სიამოვნებას განიჭებთ უბრალო ურთიერთობა, სპორტული თამაშები, ცეკვები. წლის პირველ ნახევარში საქმიან სფეროში ზოგჯერ შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ნიადაგი გეცლებათ ფეხქვეშ. ბევრს მუშაობთ, თუმცა ჩვეული მეთოდები ეფექტურობას კარგავენ. წლის პირველ ნახევარში შეიძლება იგრძნოთ მფარველი ანგელოზის დახმარება პარტნიორულ ურთიერთობებში და სარისკო მოქმედებებში. ადამიანებზე სასიკეთო ზეგავლენას მოახდენთ. სულიერი ტრანსფორმაციის დროა.

**კირჩხიბი** – მანდილოსნებში შრომისუნარიანობა და გონებამახვილობის გამოვლენა ხელს შეუწყობენ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიეცით თავს უფლება, აღიაროთ საკუთარი შეცდომა. დაეხმარეთ ახლობლებს. პრიორიტეტი წელს ეკუთვნის ნათესაურ და რომანტიკულ კავშირებს. პლანეტა სატურნის მიერ ზედმეტად სერიოზული თქვენი ცნობიერება გარკვეულწილად ხელს შეუშლის ცხოვრებისგან სიამოვნების მიღებას და სიხარულის განცდას. ეცადეთ, აღიქვათ ყველაფერი, როგორც თამაში. საქმიან სფეროში თქვენი მოღვაწეობა წელს შეიძლება გახდეს სამაგალითო, რაც სათანადოდ აისახება თქვენს ხელფასზეც. ხელი შეუწყვეთ თქვენი კარიერის განვითარებას თავისთავად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. მამაკაცებო, წელს თქვენ ბევრს იშრომებთ, რათა გააუმჯობესოთ თქვენი ოჯახის მდგომარეობა, თუმცა წლის პირველ ნახევარში ამის განხორციელება მეტად რთული იქნება. თქვენი ახლობლები ვერაფერს გაუგებენ თქვენს სტრატეგიულ ხედვას. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, საბოლოოდ გაერკვევით თქვენს სასიყვარულო ურთიერთობებში, თუ რას ელით რომანტიკული ურთიერთობებისგან და ამა თუ იმ პარტნიორისგან. სასიყვარულო პარტნიორის თანადგომა და მასთან ურთიერთობა ძალიან დაგეხმარებათ სამსახურებრივი გადატვირთვის გადალახვაში. საქმიან სფეროში წარმატების შანსი მოიმატებს. წლის პირველ ნახევარში ინტენსიური მუშაობა, ორმაგ ანაზღაურებას მოგიტანთ. წლის მეორე ნახევარში სერიოზულად მიუდექით თქვენი ვალდებულებების შესრულებას და კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას კოლეგებთან. წლის მეორე ნახევარი ხელს შეუწყობს თქვენი მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას. მეტი ყურადღება დაუთმეთ ახლობლებს და საკუთარ თავს, ეს მთავარი პრიორიტეტია, ამით დაიცავთ ყველას უსიამოვნებებისგან.

**ლომი** – მანდილოსნებმა ჰარმონიულად შეუხამეთ დასვენება სამუშაოს და ახლობლებთან ურთიერთობებს. სიყვარული განაგებს წელს თქვენს ცხოვრებას. თქვენი პოპულარობა შურით აღავსებს თქვენს მოწინააღმდეგეებს. მოერიდეთ პროვოკაციულ გამოთქმებსა და მოქმედებებს. დაეყრდენით საოჯახო ფასეულობებსა და ახლობლებს, რაც მეტ სტაბილურობას შესძენს თქვენს ცხოვრებას. წელს არაერთხელ შეიძლება აღმოჩნდეთ ყურადღების ცენტრში. პლანეტა სატურნის ზეგავლენა განაპირობებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გაცნობიერებას. თქვენს ქალურ შესაძლებლობებს ეფექტურად გამოავლენთ იანვარ-თებერვალ-მაისში. სამსახურებრივი ცვლილე-



ბები მოსალოდნელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაგაჩნიათ ზუსტი გეგმა და დარწმუნებული ხართ, რომ დრო დადგა ცვლილებების განხორციელებისა. იანვარი და აპრილი-აგვისტოს პერიოდი კარგი დროა მოსამზადებელი სამუშაოებისთვის. მამაკაცი ლომების მოქმედება წელსაც მეტად ხელს შეუწყობს ახლობელთა სიმშვიდესა და სტაბილურობას. წელს გადაწყდება საბინაო საკითხიც. კარგი იქნება თუ გაარკვევთ ყველა გაუგებრობებს მშობლებთან და საოჯახო ვალდებულებებს საყვარელ ადამიანთან. უზარმაზარი საინფორმაციო ნაკადი და სტრესული სიტუაციები წლის პირველ ნახევარში ნეგატიურ დაღს დაასვამენ თქვენს ენერგოპოტენციალს და ჯანმრთელობას. რადგან თქვენ ბუნებრივად გალანტური პარტნიორი ხართ და იცით, როგორ მიიპყროთ მანდილოსანთა ყურადღება, წელსაც მოკლებული არ იქნებით მანდილოსანთა ყურადღებით. მთავარია, არ დაკარგოთ გონიერება, დაუგდოთ ყური ინტუიციას, გაფრთხილებებს, რათა არ აღმოჩნდეთ დაჭერილი „ამურულ“ ბადეში, რაც შემდგომ უსიამოვნებებთან იქნება დაკავშირებული. იანვრიდან აპრილამდე შესაძლებელი იქნება სამსახურს მიღმა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. წლის მეორე ნახევარში წარმატება გელით პირად ცხოვრებაში და თვითრეალიზაციის კუთხით. გადაწყვეტილებები მიიღეთ თქვენი კეთილშობილი გულის დახმარებით, დაეყრდენით ოპტიმიზმს.

**ქალწული** – მანდილოსნები წელს ფასეულობებს გადააფასებთ, იპოვით შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს, ხოლო პარტნიორულ ურთიერთობებში მოგიხდებათ ახალი ტაქტიკის შემუშავება. წლის პირველ ნახევარში მოერიდეთ სარისკო კაპიტალდაბანდებებს და უაზრო ხარჯს. მეტი ყურადღება დაუთმეთ მატერიალური სტაბილურობის მიღწევას. ეს ხელს არ შეუშლის რომანტიკულ ურთიერთობებსა ან საოჯახო ურთიერთობების ჰარმონიზაციას. საქორწინო ჰარმონია, ისევე როგორც საქმიანი თანამშრომლობა ზამთარში, მოითხოვს თქვენგან სერიოზულ დაძაბვას. თქვენს ახლობლებს, კოლეგებს, ხშირად შეექმნებათ პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რაშიც თქვენც მოგიხდებათ აქტიური მონაწილეობის მიღება. იანვარსა და ოქტომბერში შესაძლებელია თავი შეგახსენონ ძველმა წყენამ სასიყვარულო პარტნიორთა მხრიდან. თებერვალში მაღალია ჭორების, ყოველდღიური მომაბეზრებელი საქმეების შესრულების ტენდენციამ და თან საქმეებში გარკვეულმა გაუგებრობებმაც იჩინონ თავი. გაზაფხულზე და ივლისში განსაკუთრებული ყურადღება გმართებთ კონტრაქტების ხელმოწერისას. მამაკაცებო, ცხენის წელიწადში ფინანსური და კარიერული საკითხები პრიორიტეტულ ელფერს შეიძენენ. პროფესიონალური მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე ხელისშემშლელ ფაქტორად წარმოჩნდებიან თქვენი გადამეტებული ამბიციები. იანვარსა და ოქტომბერში თქვენ მომწიფდებით არასასურველი კავშირების დასამთავრებლად. თებერვლის სასიყვარულო ურთიერთობა კი მეტად დაემსგავსება საქმიან ხელშეკრულებას, თუმცა ამ ურთიერთობამ შეიძლება საგრძნობლად შეამციროს თქვენი ფინანსური შესაძლებლობები. აგვისტომდე ბიზნესსფეროში სრულად გამოავლენთ თქვენს ნიჭიერებას. მთავარი ამოცანა კი იქნება მატერიალური ფასეულობების მოპოვება. თუ არ აკონტროლეთ თქვენში ფულის დაგროვების გადამეტებული სურვილი, მაშინ გაქვთ შანსი, რომ აღმოჩნდეს „სიძუნწის“ იარლიყის მიკერების პერსპექტივის წინაშე ან ფულის იმპულსური და უაზრო ხარჯის წინაშეც კი. მარტიდან აგვისტომდე პლანეტა იუპიტერის ზეგავლენის შედეგად აისრულებთ ოცნებებს. მივიწყებული კავშირები კი ტრამპლინის როლს შეასრულებენ ახალი ერთობლივი თანამშრომლობის და წარმატების გზაზე.

**სასწორი** – მანდილოსნებმა ცხენის წელში ბევრი უნდა იშრომოთ, რათა მიაღწიოთ მატერიალურ სტაბილურობას. სურვილი ყველაფრის გაკეთებისა თქვენებურად, სხვათა აზრის გათვალისწინების გარეშე, მეტად მაცდუნებელ ზეგავლენას მოახდენს თქვენზე ზამთარში. მარტიდან დეკემბრამდე მოსალოდნელია გულაცრუება უახლოესი მეგობრის მოქმედების შედეგად და მსოფლმხედველობის შეცვლა. გაზაფხულზე თქვენი შარმი საგრძნობლად მოიმატებს. როდესაც მოისურვებთ რაიმეს დაპატრონებას, გაიხსენეთ მაშინ, რომ თქვენ უპირველეს ყოვლისა ქალი ხართ და თქვენი ძალა სისუსტეშია, არტისტიზმშია, ორატორულ მონაცემებშია. აპრილიდან ოქტომბრამდე მოიმატებს ემოციურობა, სექსუალურობა, იმპულსური სურვილი საკუთარი სურვილების ასრულებისა. წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელია ხელფასის დაგვიანება, მუშაობის პირობების გაუარესება. ზამთარში ბიზნესსაქმიანობაში ნუ დაგეგმავთ სიახლეების წამოწყებას. მამაკაცებში ზამთარში წარმოჩენილი სირთულეები შეაფერხებენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას. პრობლემების მიზეზს კი წარმოადგენენ გადამეტებული წარმოდგენა საკუთარ თავზე და ზღვარგადასული ამბიციები, გადამეტებული პატივმოყვარეობა, არასწორი გადანაწილება ძალაუფლებისა და მისი გამოყენება, კავშირების გამოყენება საკუთარი ეგოისტური მიზნების მისაღწევად. ზამთარში თქვენი ყურადღება მიმართული იქნება ინტელექტუალური თამაშებისადმი, რაც დაგეხმარებათ სასიყვარულო ჰარმონიის შეცნობაში. გაზაფხულზე გადამეტებული აგრესიულობა, თვითრწმენა, სიჯიუტე და ეგოიზმი განაპირობებს პარტნიორულ და საოჯახო კონფლიქტებს. წლის პირველ ნახევარში მომატებული პროფესიონალური ამბიციები მეტად განავითარებენ თქვენი ინიციატივის გამოვლენასა და თვითრწმენის განმტკიცებას. ამავე პერიოდში არ გაუშვათ ხელიდან შანსი, ეს შეიძლება იყოს შემთხვევითი ნათქვამი სიტყვა ან ზედაპირული ნაცნობობა.

**მორიელი** – მანდილოსნებო, ეს წელიწადი არ ითვალისწინებს აქტიური ნაბიჯების გადადგმას. გააგრძელეთ ადრე დაწყებული საქმეები. თქვენ წარმოაჩენთ თავს, როგორც ფრიად სერიოზული პიროვნება, რაც ერთგვარი ფილტრი იქნება თქვენი თაყვანისმცემლებისთვის, ამიტომ საეჭვო რეპუტაციის ადამიანები წელს არ შეგაწუხებენ. კარიერაში მთავარი, რაც უნდა გახსოვდეთ, წლის განმავლობაში არის ის, რომ სამსახური ეს არის შესაძლებლობა იმ სახსრების მოპოვებისა, რომელიც აუცილებელია არსებობისთვის, ამიტომ ნუ გახდით მას ცხოვრების არსად. მამაკაც მორიელებს მეტი სიფრთხილე და ყურადღება მართებთ ურთიერთობებისას და საქმიანობისას. კარგი იქნება ცხოვრებაში ცვლილებების შეტანა. სასიყვარულო სფერო გაგახალისებთ ჰარმონიული დამოკიდებულებით, არ იქნება საჭირო ზედმეტი ძალისხმევის გამოყენება თქვენი მხრიდან. მაღალია ალბათობა რამდენიმე პარალელური რომანების წარმოქმნისა. კარიერის თვალსაზრისით, წლის პირველ ნახევარში თქვენს საქმიანობას ხელს შეუშლიან ბიუროკრატიული ბარიერები. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალური დონის გასაღრმავებლად, გაიარეთ ატესტაცია, მონაწილეობა მიიღეთ კონკურსებში. ზაფხულში თქვენ აღმოჩნდებით თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობების უმაღლეს მწვერვალზე. იაზროვნეთ მასშტაბურად, გაიაზრეთ შესაძლებელი პერსპექტივები და ყურადღების კონცენტრაცია მოახდინეთ ძირითადზე.

**მშვილდოსანი** – მანდილოსნებმა შეცვალეთ საკუთარი თავი, მოიშორეთ შიშები, კომპლექსები და მავნე ჩვევები. ადვილად ნუ ენდობით სხვებს. თქვენი საზოგადოებრივი აქტიურობა ხელს შეუწყობს შესაძლებლობების გაფართოებას. მატერიალური საკითხები კი ნამდვილ გამოცდას მოუწყობენ თქვენს სასიყვარულო ურთიერთობებს. სასიყვარულო ურთიერთობებში ეს პროგნოზი გაამართლებს იმ შემთხვევაში, თუ ეს ურთიერთობები ჭეშმარიტ სიყვარულს უკავშირდებიან. წელს გრძნობების სისუფთავე და სულიერი სიახლოვე აუცილებელი პირობებია არსებული ურთიერთობების შენარჩუნებისა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის. რეტროგრადული პლანეტა ვენერა იანვარში მეტ სირთულეებს შეგიქმნით სამსახურში, თუმცა ძირითადი სიტუაცია იქნება სტაბილური. თქვენ უფრო მეტად შეგაწუხებთ შემოსულის ნაკლებობა გასავალთან შედარებით. მამაკაც მშვილდოსნებს აქტიურობის გამოვლენა საზოგადოებრივ სამსახურში წარმატებას მოუტანს. თანამშრომლობა კოლეგებთან თავდაპირველად რთულად წარიმართება, თუმცა აგვისტოდან გამოიღებს შედეგებს. ფინანსური სირთულეები წლის პირველ ნახევარში ნეგატიურ დაღს დაასვამს თქვენს ცხოვრებას. წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებულად დაგჭირდებათ საუკეთესო მამაკაცური თვისებების გამოვლენა, შეხამებით დიპლომატიურობასთან. თუ სისუსტეს გამოავლენთ ან იქნებით ვულგარულად უხეში, ეს მხოლოდ უსიამოვნებებს მოგიტანთ. საქმიანი, ნაყოფიერი ატმოსფერო სამსახურში საბოლოოდ ჩამოყალიბდება თებერვლის ბოლოს. რთული ფინანსური სურათი იანვარ-მაისში მოითხოვს ეკონომიის რეჟიმში გადასვლას და ჭკვიანურად მოქმედებას კაპიტალდაბანდების დროს.

**თხის რქა** – მანდილოსნები მოემზადეთ სასიკეთო ცვლილებებისთვის, როგორც კარიერაში, ასევე პირად ცხოვრებაშიც. მეტი ყურადღება დაუთმეთ საოჯახო საკითხების გადაწყვეტას და მეგობრებთან ურთიერთობებს. წლის პირველ ნახევარში მეტი ყურადღება დაუთმეთ ჰარმონიული პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას, შესაძლებელია ქორწინებაც. ზამთარში, რამდენადაც კარგად შეძლებთ თქვენი შესაძლებლობების გამოვლენას, ამაზე იქნება დამოკიდებული ბევრად შემდგომი კარიერული წინსვლა. თებერვალ-იანვარში კარგი იქნება კვალიფიკაციის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ ხელფასის მომატებასაც. მამაკაცებო, წელს ეცადეთ იაქტიუროთ პროფესიონალური თქვენი დონის ამაღლების კუთხით. ზედმეტად ნუ გამოიყენებთ სანათესაო კავშირებს, თუ არ გინდათ შემდგომ შეგიწყდეთ დახმარება ნათესავთა მხრიდან. იანვარ-თებერვალში შესაძლებელია აღმოჩნდეთ საიდუმლო სასიყვარულო-სამსახურებრივი ურთიერთობების წინაშე, რომელსაც ექნება შემდგომში თქვენი პროფესიონალური წინსვლის პერსპექტივა. წელს გაქვთ შანსი მიაღწიოთ წარმატებას და პოპულარობას თქვენს პროფესიაში. თუ თქვენ ამ მხრივ ჯერ არ ჩამოყალიბდით, ეს წელიწადი ხელს შეუწყობს პროფესიონალური კუთხით თქვენს ჩამოყალიბებას.

**მერწყული** – მანდილოსნებს ხელს შეგიწყობთ ეს წელიწადი ინტერესთა სფეროს გაფართოებაში. თვითრეალიზაციას ხელს შეუწყობენ პარტნიორული ურთიერთობები და პროფესიონალიზმის ამაღლება. ცხოვრებისეულ გზაზე ცხენის წელიწადისა გადაეყრებით მოტყუებას, შურს, თუმცა ისწავლით მათ დროულად ამოცნობას. აპრილ-სექტემბრის შუალედმა შეიძლება ჩაგითრიონ რომანტიკულ კავშირში ძლიერ და გამოცდილ მამაკაცთან და რომლის აფიშირებასაც თქვენ არ მოინდომებთ. რამდენადაც კარგად წარმოაჩენთ თქვენს თავს წლის პირველ ნახევარში, იმდენად მიიღებთ ხელმძღვანელთა მხარდაჭერას წლის მეორე ნახევარში. მამაკაც მერწყულებს წელს აღმოჩენების საძირკველთან მოუწევთ ყოფნა. გამახვილდება ინტუიცია და ფილოსოფიური ხედვა ცხოვრებისა და სამყაროს მოვლენებისა. ივნისში თქვენს ცხოვრებაში დაბრუნდება რომანტიზმი და საუბრები თქვენთვის საინტერესო საკითხებზე. ივლისის შუა რიცხვებამდე მოსალოდნელია სამუშაო პირობების გაუმჯობესება. ადგილობრივი მოვლენები წარმატებულ იერსახეს შეიძენენ, პროფესიონალებთან ურთიერთობაც მეტად სასიკეთო იქნება, რაც შეგძენთ ახალ გამოცდილებას.

**თევზები** – მანდილოსნებს გამახვილებული შარმი და ინიციატივის გამოვლენის უნარი წარმატებებს მოგიტანთ. დაიკავეთ აქტიური პოზიცია, განახორციელეთ იდეები, ნუ შეგეშინდებათ სარისკო მოქმედებისა, გააგრძელეთ და დაასრულეთ ადრე დაწყებული პროექტები. თქვენი გამახვილებული შარმი და უნარი შთაბეჭდილების მოხდენისა, მოიზიდავს ახალ პარტნიორებს, ძველი პარტნიორები კი ეცდებიან საკუთარი ვარგისიანობის და პერსპექტიულობის დამტკიცებას. იანვარში თქვენს სამუშაო ჯგუფში შესაძლებელია გარკვეული გაუგებრობები წარმოიქმნას. გაზაფხულიდან თქვენი ინტუიცია გიკარნახებთ წყალქვეშა ქვებისა და მომავალი სამუშაოების პერსპექტივების შესახებ. მამაკაცი თევზების უნარი ცვლილებებისა, ბრძოლისა, კონიუნქტურის შეგრძნებისა ხელს შეუწყობს წელს მნიშვნელოვან წარმატებებს. წელს უნდა ისწავლოთ უარის თქმა სტაბილურ, მაგრამ წვრილმან შემოსავლის წყაროებზე და ყურადღება უნდა გადაიტანოთ მსხვილ პოტენციურ შესაძლებლობებზე. პირად ცხოვრებაში წელს რადიკალურად გამახვილდება თქვენი შარმი, რაც მოიზიდავს თქვენკენ საწინააღმდეგო სქესის პარტნიორს. ნუ გადატვირთებით ზამთარში არაფრისმომცემი, ზედაპირული ურთიერთობებით, რათა შეძლოთ შემდგომ გაზაფხულზე სრულად ჩართვა რომანტიკულ ურთიერთობებში ისეთ ქალთან, რომლის გამოც ღირდა საკუთარი თავისუფლების დათმობა. წლის პირველ ნახევარში გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი, თუმცა თქვენი ბიუჯეტი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება წინასწარგანუსაზღვრელი ხარჯისა და ფორსმაჟორული სიტუაციების გამო.

# ზესტაფონი 4 ფეხბურთელით შეივსო



ზამთრის შესვენებისას, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში“ რამდენიმე ცვლილება მოხდა. იმერულ კლუბს მიმდინარე პირველობის საუკეთესო ბომბარდირი შეუერთდა. 30 წლის ფორვარდი დიმიტრი ტატანაშვილი, რომელსაც ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მრავალ კლუბში წარმატებით უასპარეზია, იმერული კლუბის ღირსებას მომდევნო ორი (1 პლუს 1 სისტემით) წლის განმავლობაში დაიცავს.

უნდა ითქვას, რომ გამოცდილმა ფორვარდმა, რომელმაც სახელი ჯერ კიდევ თბილისის „ამერში“ წარმატებული თამაშით გაითქვა, გასულ სეზონში თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. განსაკუთრებით მდიდარია დიმიტრი ტატანაშვილის სათასო რეგალიების კოლექცია — ის 3-3-ჯერ არის დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასისა და საქართველოს სუპერთასის მფლობელი, გარდა ამისა, ჩეხეთის თასის 2009-10 წლების გათამაშების გამარჯვებულიც გახლავთ.

როგორც მოგეხსენებათ, ზესტაფონელთა ახალწვეული მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას სადღეისოდ 12 გატანილი გოლით ერთპიროვნულად ლიდერობს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მას 2 მატჩი აქვს ჩატარებული და ამ მატჩებში 1 გოლიც აქვს გატანილი.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში“ თეიმურაზ ღონღაძე დაბრუნდა. 28 წლის გამოცდილი მცველი, რომელიც მარგველთა რიგებში 2011-13 წლებშიც ასპარეზობდა, იმერული კლუბის ღირსებას მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაიცავს.

უნდა ითქვას, რომ დაცვის ორივე ფრთაზე ერთნაირად წარმატებულად მოასპარეზე თეიმურაზ ღონღაძე „ზესტაფონის“ შემადგენლობაში 2011-12 წლების სეზონის ტრიუმფატორი გახლავთ, როდესაც გუნდის შემადგენლობაში მან ჯერ ჩემპიონის ოქროს მედლები დაისაკუთრა, შემდეგ კი სუპერთასის მფლობელიც გახდა.

თეიმურაზ ღონღაძემ მარგველთა მაისურით ორ ევროკომპანიაში იასპარეზა — 2011 წლის ზაფხულზე მან იმერული კლუბის ღირსება მოლდავურ „დაჩიასთან“ და ავსტრიულ „შტურმთან“ ჩემპიონთა ლიგის და ბელგიურ „ბრიუგესთან“ უეფას ევროპალიგის პლეიოფის მატჩებში დაიცვა, 2012 წელს კი აზერბაიჯანულ „ნეფტჩისთან“ გამართულ შეხვედრებშიც ითამაშა. ეროვნული ჩემპიონატის ეგიდით „ზესტაფონის“ შემადგენლობაში მან 48 მატჩი ჩაატარა და თავი 2 გატანილი გოლით გამოიჩინა. საქართველოს ეროვნული ნაკრების რიგებში კი თეიმურაზს 2 მატჩი აქვს გამართული.

ზემო იმერელთა რიგებს კიდევ ერთი ფეხბურთელი შეემატა — 25 წლის ახალწვეულის სახელია გიორგი გურული. მარცხენა მცველი, რომელიც ჯერ ქუთაისის „ტორპედოში“, ბოლოს კი გორის „დილაში“ ასპარეზობდა, „ზესტაფონის“ ღირსებას შემდეგი ორი წლის მანძილზე დაიცავს.

გურული 2011-13 წლებში გია გეგუჩაძის ქუთაისის „ტორპედოში“ გიორგი გურულიც ასპარეზობდა და ქუთათურ კლუბთან ერთად ზედიზედ ორჯერ გახდა ეროვნული პირველობის ბრინჯაოს მედლების მფლობელი. მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპი მან „დილაში“ გაატარა. გორელთა შემადგენლობაში გიორგიმ ევროკომპანიის ექვსივე მატჩში მიიღო მონაწილეობა, ეროვნულ პირველობაზე კი 15 შეხვედრა ჩაატარა და ფეხბურთის მოყვარულთ თავი საიმედო თამაშით დაამახსოვრა.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ გრიგოლ დოლიძე შეუერთდა. 31 წლის მარჯვენა ნახევარმცველი, რომელსაც ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მრავალ კლუბში წარმატებით უასპარეზია, ზემო იმერული კლუბის ღირსებას მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაიცავს.

დოლიძე მარჯვენა ფლანგელია, მას შეუძლია საგოლე პასის გაკეთება და შეტევის დაგვირგვინებაც. აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ მარგველთა ახალწვეულმა ფეხბურთის მოყვარულებს თავი თბილისის „ამერის“ შემადგენლობაში წარმატებული თამაშით განსაკუთრებით დაამახსოვრა. სწორედ გლდანელებთან ერთად 2005-06 და 2006-07 წლებში მან ზედიზედ 2-ჯერ მოიპოვა დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასი და ამდენივეჯერ გახდა საქართველოს სუპერთასის გათამაშების ტრიუმფატორი.

საინტერესოა, რომ საქართველოს სუპერთასის გათამაშების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი სწორედ გრიგოლ დოლიძეა. როგორც მოგახსენეთ, „ამერის“ შემადგენლობაში სუპერთასზე მან ორჯერ იასპარეზა და ამ ორ შეხვედრაში 4 გოლის გატანა მოახერხა. მეტიც, ის ერთადერთი ფეხბურთელია, ვისაც სუპერთასის გათამაშების შეხვედრაში „ჰეთ-თრიქი“ აქვს შესრულებული.

2008-09 წლების სეზონი გრიგოლ დოლიძემ აზერბაიჯანული „სიმურგის“ რიგებში გაატარა. 2011-13 წლებში ის გია გეგუჩაძის დამოძღვრილ ქუთაისის „ტორპედოში“ ასპარეზობდა და ზედიზედ ორჯერ გახდა ეროვნული პირველობის ბრინჯაოს მედლების მფლობელი. გასული წლის ზაფხულიდან კი გორის „დილაში“ თამაშობდა და ევროპის ლიგის მატჩებში თავი ხარისხიანი და შედეგიანი თამაშით გამოიჩინა. ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ზესტაფონელთა ახალწვეულს 1 მატჩი აქვს ჩატარებული, წელს ის ნაკრებში თემურ ქეცბაიამაც მიიწვია.

# შუმახერი შესაძლოა მუდმივად კომაში დარჩეს

გუშინ მიხაელ შუმახერი 45 წლის გახდა, მაგრამ მის მახსოვრობაში ეს დაბადების დღე არ იარსებებს. როგორც უცხოური მედია წერს, შუმახერი კომიდან შესაძლოა ვერ გამოვიდეს — გერმანელი მრბოლელის მდგომარეობა ამ დრომდე სტაბილურად მძიმეა.

მედია შუმახერის ოჯახის წევრებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ექიმები ოჯახის წევრებთან საუბრებში ცდილობენ შეაგუონ აზრს, რომ „ფორმულა 1“-ის შვიდგზის ჩემპიონი სავარაუდოდ კომიდან ვერც გამოვიდეს და სამუდამოდ ამ მდგომარეობაში დარჩეს.

თხილამურებით სრიალისას დაშავებული ლეგენდარული ავტომრბოლელის მდგომარეობაზე, რომელსაც თავის ტვინზე უკვე ორი ოპერაცია გაუკეთდა, გრენობლის ჰოსპიტლის რეანიმაციის განყოფილების ხელმძღვანელმა ჟან-ფრანსუა პაიენმა ილაპარაკა.

ჟან ფრანსუა პაიენი:

— წინა დღესთან შედარებით ვითარება არ შეცვლილა. შუმახერის თავის ტვინის ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუკი გადარჩება, ტრავმის კვალი სიცოცხლის ბოლომდე დარჩება.

ჰოსპიტლის ადმინისტრაციამ გაამკაცრა პრესის წარმომადგენლების შენობის ტერიტორიაზე გადაადგილების წესები, საავადმყოფოს პერსონალს კი მათთან ურთიერთობა კატეგორიულად აუკრძალა.

შეგახსენებთ, რომ მიხაელ შუმახერი და მისი 14 წლის ვაჟი, მიკი 29 დეკემბერს ალპებში თხილამურებით სრიალებდნენ. სპორტსმენი ტრასას ასცდა და თავი ქვას დაარტყა. მიუხედავად იმისა, რომ შუმახერს დამცავი ჩაფხუტი ეკეთა, თავის მძიმე ტრავმა მიიღო და საავადმყოფოში ვერტმფრენით იქნა გადაყვანილი.

უბედური შემთხვევა კურორტ მერიბელზე მოხდა, სადაც სპორტსმენი ოჯახთან ერთად ისვენებდა.

# ქართველებმა თურქეთში წააგეს და შანსი თითქმის დაკარგეს

თურქეთი — საქართველო 29:23

თურქეთი: გიუნაი, გიოქთეფე; დიონე (9), ჩელიქი (6), ერსინი (4), ჯატკინი (4), ჩელები (2), ასიქოღლუ (1), იოჰბაზარი (1), პეტკაში (1), ზამანი (1), იოზი, ქესქინი, ილდირიმი, იოზმუსული, კირდალი

საქართველო: თევზაძე, ტორონჯაძე; მსხვილიძე (6), რუსია (5), ჭანტურია (4), ჩიქოვანი (2), დათუკაშვილი (2), გამზარდია (2), გვაზავა (1), მაისურაძე (1), ტალახაძე, ორჯონიკიძე, აბრამიშვილი, ამირანაშვილი, სიმონია, წითელიშვილი

საქართველოს ნაკრებმა ანკარაში 23:29 წააგო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი თურქეთთან. 5 იანვარს იგივე გუნდები თბილისში ითამაშებენ.

თურქები თავიდანვე დაწინაურდნენ და ქართველებმა მხოლოდ ერთხელ გაათანაბრეს ანგარიში, პირველი ტაიმის დასაწყისში — 4:4. ამის შემდეგ მასპინძლები ისევ გავიდნენ წინ და სტუმრებმა ორჯერ მოახერხეს სხვაობის 2 ბურთამდე დაყვანა — 5:7, 7:9.

ტაიმი თურქეთმა 14:8 მოიგო და მეორეში კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა — მათი მაქსიმალური უპირატესობა 10 ბურთი იყო — 26:16. საბოლოოდ კი — 29:23.

იმავე დღესვე ჩვენების ჯგუფში ლიტვა სტუმრად ფრედ ეთამაშა ფინეთს და 3 თამაშიდან 5 ქულით ლიდერობს, 3 ქულა აქვს ფინეთს, 2-2 თურქეთსა და საქართველოს. მსოფლიო ჩემპიონატის პლეიოფში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიტვა | 3 | 2 | 1 | 0 | 66:57 | 5 |
| 2.ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 65:66 | 3 |
| 3.თურქეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 69:72 | 2 |
| 4.საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 66:71 | 2 |

**მომდევნო თამაშები:**

**4 იანვარი: ლიტვა-ფინეთი;**
**5 იანვარი: საქართველო-თურქეთი;**
**8 იანვარი: საქართველო-ლიტვა, თურქეთი-ფინეთი;**
**11 იანვარი: ფინეთი-საქართველო;**
**12 იანვარი: ლიტვა-თურქეთი.**

# აარონ რამზი რაგბის თამაშზე ოცნებობდა

რა დაკარგა რაგბიმ ვერ გეტყვით, მაგრამ აარონ რამზით ფეხბურთი და უელსის ნაკრები რომ ერთ-ერთ წამყვან ფიგურას დაკარგავდა, ფაქტია. რა შუაშია რაგბი? ამას თავად ფეხბურთელი გვეტყვის.

აარონ რამზი:

— ვოცნებობდი რაგბი მეთამაშა უელსის ნაკრებში, უბრალოდ მიყვარს ბრძოლაში ჩართულობა. რაგბი რომ ამერჩია, ვფიქრობ, გამომივიდოდა. ვთამაშობდი როგორც რაგბის ლიგაში, ისე გაერთიანებებში. ვთამაშობდი ცენტრშიც და ფლანგზეც, მაგრამ მაინც ცენტრში მერჩივნა. მიყვარდა მოვლენების ცენტრში ყოფნა. თამაშს კარგად ვკითხულობდი და ამით ვხელმძღვანელობდი. ფეხბურთში მოღვაწეობა მეხმარებოდა. ფიზიკური მხარეც მსიამოვნებდა და რაგბიში მიღებული გამოცდილება ტრავმის დაძლევაშიც დამეხმარა. თუმცა მიყვარდა, როცა მოვლენები ჩემი მონაწილეობით ხდებოდა.

ეს ხედვა და შესაძლებლობები, იპოვოს გამოსავალი სრული ქაოსის დროს მოედანზე, დაბადებიდან დაყვება და ეხმარება. აუცილებლად უნდა ითქვას მისი საოცარი სეზონის შესახებაც, სადაც მან უკვე 15 გოლი გაიტანა როგორც ქვეყნის, ისე ნაკრების შემადგენლობაში.

— ნახევარმცველს განსაკუთრებული ხედვა უნდა ჰქონდეს. თუ ხედავ ღია სივრცეს, უნდა შექმნა შანსი, უნდა გჯეროდეს საკუთარი თავის და მიენდო მას, მნიშვნელობა არ აქვს 40-იარდიანი პასი იქნება საჭირო თუ ჯაშუშური თამაში. მე ასე ვარ, წარმოდგენაში მაქვს რა მოხდება და ამ სტრატეგიას მივყვები, — ამბობს „არსენალის“ ერთ-ერთი ლიდერი.

მას შემდეგ, რაც დაძლია უკვე ბევრჯერ ნახსენები პრობლემები, რომელიც მის ტრავმებს უკავშირდება, ის უფრო ლაღი და წარმატებულია მიმდინარე სეზონში „არსენალის“ შემადგენლობაში.

არსენ ვენგერმა, „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა, 2 წელი მისცა გამოსაჯანმრთელებლად უელსელს, მას ოდნავ მეტი დასჭირდა.

— გონებრივი მხარე ყველაზე მძიმე იყო. რომ დაამარცხო მიღებული სტრესი და დაივიწყო, ფიზიკურად რამდენიმე თამაშია საჭირო, მაგრამ გონებრივად გაცილებით მეტი. 2 წელი დამჭირდა, რომ სიმაღლეზე ასვლა დამეწყო, მთელი გულით მებრძოლა მოედანზე. ამ დროს უამრავი სისულელე მიტრიალებდა თავში. 100 პროცენტით მზად უნდა იყო და დარწმუნებული საკუთარ თავში. ეს ყველა თამაშზე ახდენს გავლენას და ასეც იყო. კომბინირებულად ორივე ელემენტი იყო საჭირო, უფრო მეტად დრო. უნდა მცოდნოდა, რომ ფეხი არ მტკიოდა და ვარდნაში შესვლა და გამოსვლა ტკივილს არ მომაყენებდა. ვფიქრობ, ყველაფერი უკან დარჩა და რაღაცას მივაღწიე, მივუახლოვდი იმ ფორმას, როგორშიც მანამდე ვიყავი. როგორც კი გონებრივი ბარიერი დავძლიე და ისევ ვიპოვე თვითრწმენა, უკვე შესანიშნავად ვიგრძენი თავი, — ხსნის როგორ გადალახა მძიმე პერიოდი აარონმა.



აარონს ფიზიკური შესაძლებლობები ნამდვილად დაეხმარა. როცა ვენგერმა უელსელი, 2008 წელს „კარდიფიდან' გადმოიყვანა, მის უდიდეს ფიზიკურ მონაცემებზე ბევრი ისაუბრა. შთამბეჭდავი ფიზიკური ძალისა და ძრავის კომბინაცია საშუალებას აძლევს ირბინოს მოედნის ყველა კუთხეში, თანაც დიდ მანძილზე. საოცარი გოლის ალღო აქვს და შესანიშნავად გრძნობს თავს მეტოქის საჯარიმოში, ეს გამოარჩევს მას წლევანდელ პრემიერლიგაში. ის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოთამაშეა. სკოლაში აარონი, გარდა მოედნისა, სარბენ ბილიკზეც გამოირჩეოდა და სკოლის ჩემპიონიც კი გახდა 800 მეტრზე სირბილში.

ალბათ სწორედ ეს ხსნის ჯეკ უილშერის ერთ-ერთ ინტერვიუს, სადაც ახსენა თუ რატომ შეუძლია აარონს მეტი სირბილი, ვიდრე დანარჩენი გუნდის წევრებს.

— იმედგაცრუებულები ვართ, რომ ამდენი გოლი გავუშვით, განსაკუთრებით წელს, როცა ასეთი კარგი დაცვა გვყავს, მაგრამ მოედნის წინაც უამრავ შანსს ვქმნით და 6 გოლის გატანა შეგვიძლია. რამდენიმე ქულა დავკარგეთ, მაგრამ მაინც ცხრილის სათავეში ვართ. ეს კი იმას მოწმობს თუ რაოდენ კარგად დავიწყეთ სეზონი. ამ პატარა ჩავარდნით კი მალევე შევძლებთ ხარვეზებზე მუშაობას. ძალიან ახალგაზრდული გუნდი ვართ, მაგრამ არიან გუნდში ახალგაზრდა ლიდერები. მგონია, რომ პერი, ჯეკი და მე ძლიერები ვართ. ყველას გამარჯვება გვინდა, ამისთვის ვარსებობთ და ყველა თამაშში ბოლომდე ვიხარჯებით. სწორედ ეს გახლავთ მთავარი მიღწევა ბოლო 2 წლის განმავლობაში. ქულები დავკარგეთ „სიტისთან“, მაგრამ ამაზე აღარ ვფიქრობთ, ჩვენ გვიწევს მათი „ემირეითსზე“ მიღება და ვეცდებით მოგებას. მარტინ კოენი გამომიტყდა, რომ წელს გუნდში ლიდერებს ხედავს და ამით განსხვავდება გასული წლის გუნდისგან. ცალსახაა, მან იგრძნო განვითარება და დაინახა, რომ ერთმანეთის მიმართ უფრო მომთხოვნები ვართ კლუბში, — დარწმუნებულია მისი გუნდის ძალებში ფეხბურთელი.

2011 წლის მარტში გარი სპიდმა აარონი 20 წლის და 90 დღის ასაკში უელსის ნაკრების კაპიტნად დანიშნა, თანაც მაშინ, როცა ინგლისელებთან შეხვედრა უწევდათ.

— ეს მაშინ მოხდა, როცა გარი კრეიგ ბელამის შეხვდა და ამ თემაზე ისაუბრეს, კრეიგს აღარ სურდა კაპიტნობა და მიაჩნდა, რომ ეს მისია უფრო ახალგაზრდასთვის დამატებითი სტიმული იქნებოდა. მან ჰკითხა კრეიგს თუ ვინ იქნებოდა მომავალი კაპიტანი და მან ჩემზე მიუთითა, გარიმ კი მკითხა თუ მინდოდა და თუ ვიყავი მზად პასუხისმგებლობის ასაღებად. ეს დიდებული მომენტი იყო, მას სწამდა ჩემი. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ეს პატივი იყო, მითუმეტეს როცა პირველი შეხვედრა ინგლისელთა წინააღმდეგ მიწევდა კაპიტნის რანგში. გარიმ ზუსტად იცოდა როგორი კაპიტანი ვიქნებოდი, რომ ჩემს არჩეულ გზას გავყვებოდი, შეიძლება ითქვას მისმა იდეამ გაამართლა, გუნდმა რამდენიმე რთული წაგების შემდეგ შეძლო კარგი ფეხბურთის ჩვენება, რეიტინგის მიუხედავად, — იხსენებს რამზი.

2 წლის წინ, სპიდის თვითმკვლელობამ გარკვეული ცვლილებები გამოიწვია, მწვრთნელად კოულმენი დაინიშნა, რომელმაც კაპიტნობა ეშლი უილიამსს გადასცა. რამზის კი ამით არაფერი დაჰკლებია, გამოცდილებამ თავისი გაიტანა და უელსელმა განვითარება განაგრძო.

— ახალგაზრდა ვარ, მაგრამ უკვე გამოცდილი, 16 წლის ასაკში „კარდიფის“ პირველ გუნდში ვთამაშობდი. გადავიტანე ურთულესი ტრავმა, უკვე ბევრი რამ მოვასწარი. არჩევანის საშუალება მქონდა. პირველი „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყო. თუმცა შვეიცარიაში დასასვენებლად მყოფ მე და ჩემს ოჯახს ვენგერი გვესტუმრა. ის დიდხანს გვესაუბრებოდა ჩემს მომავალზე, მას ჩემი ჩასმა პირდაპირ პირველ გუნდში სურდა. „მანჩესტერი“ კი „კარდიფში“ იჯარით უკან დაბრუნებას მიპირებდა. მწვრთნელს ჩემი ყოველთვის სჯეროდა, მაშინ როდესაც ტრავმირებული ვიყავი ახალი კონტრაქტი შემომთავაზა. ყველაფერი ნათელია, ბედნიერი ვარ, რომ სამაგიეროს ვუხდი მას ნდობისთვის, — ასე ასრულებს თავის ინტერვიუს უელსელი.

# აშშ-სა და კანადაში უამინდობაა

აშშ-სა და კანადაში უამინდობაა. აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთში უამინდობის გამო ათასობით ავიარეისი გადაიდო. მასაჩუსეტის შტატში რამდენიმე საათში 53 სმ თოვლი მოვიდა.

ახალ ინგლისში გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. ხელისუფლება მოსახლეობას მოუწოდებს, გარდაუვალი აუცილებლობის გარეშე სახლებიდან არ გავიდნენ. მეტეოროლოგების განცხადებით, ზოგიერთ რაიონში ქარის სიჩქარემ 70 კმ/სთ მიაღწია. დღეს ნიუ-იორკის რამდენიმე სკოლაში სწავლა შეწყდება.



„სიენენის“ ინფორმაციით, ო„ჰარას და ჩიკაგოს აერიპორტებში 650 ავიარეისი გადაიდო.

სერიოზულად შეფერხდა სხვა აეროპორტების მუშაობაც. დაკეტილია ნიუ-იორკის ლა გუარდიას აეროპორტიც. როგორც მეტოროლოგები ვარაუდობენ, ძლიერი ნამქერი 22 შტატს და მასში მცხოვრებ 100 მილიონამდე ადამიანს შეუქმნის პრობლემებს.

„დარჩით სახლებში იმდენი ხანი, რამდენიც ეს შესაძლებელია“, – მიმართა მოსახლეობას ნიუ-იორკის მერმა ბილ დე ბლაზიომ.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, კანადაში ტემპერატურია -26 გრადუსამდე დაეცა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მონრეალში და ვინიპეგში. გუშინ კი კვებეკში -46 გრადუსი დაფიქსირდა. ავსტრალიაში კი გვალვაა. ქვეყანაში ჰაერის ტემპერატურამ 50 გრადუსს მიაღწია. მოსახლეობა გარეთ გასვლას თავს არიდებს. სინოპტიკოსების ცნობით, ჰაერის ტემპერატურა რამდენიმე დღეში დაიკლებს და 34 გრადუსამდე ჩამოვა.

გ. ქ.

# ამერიკის შტატ კოლორადოში მარიხუანას სრული ლეგალიზება მოახდინეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შესაძლოა 200 დოლარს გადააჭარბოს.

მარიხუანის შენახვა და მოხმარება ნაწილობრივ ან სრულად ლეგალიზებულია აშშ-ის 20-ზე მეტ შტატში. ზოგიერთმა მათგანმა ამ სფეროში დეკრიმინალიზაცია მოახდინა, ზოგმა კანაბისის მოხმარება სამედიცინო მიზნებით, ექიმის რეცეპტით აფთიაქებში გაყიდვა დაუშვა. სრულიად ღია გაყიდვა ჯერჯერობით შესაძლებელია მხოლოდ კოლორადოში, თუმცა უახლოეს ხანში, ანალოგიურ კანონს ვაშინგტონის შტატშიც მიიღებენ.

კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერის ერთ-ერთ ბარში, მარიხუანის მწარმოებლებმა საახალწლო ზეიმი გამართეს. მომხმარებლებმა კი იქვე, კანონიერად შეიძინეს მოსაწევი, რაც კოლორადოში პირველად მოხდა. პირველი, ვინც მარიხუანა შეიძინა, შონ აზარტი იყო.

„ჩვენ ამას რვა საათზე დავიწყებთ. შონ, თქვენ უნდა გადაიხადოთ 59 დოლარი და 74 ცენტი. დიდი, დიდი მადლობა“.

აზარტი ერაყის ომის ვეტერანია და ამბობს, რომ სტრესის შემდგომი დეპრესია აქვს. მან მარიხუანა ამ სიმპტომების საწინააღმდეგოდ შეიძინა. შონ აზარტი „ამერიკის ხმასთან“ ამბობს: „მე ვიყენებ არასამედიცინო დანიშნულებს კანაფს, რათა შევიმსუბუქო სტრესის შემდგომი დეპრესიით გამოწვეული მდგომარეობა. ეს ნაბიჯი სხვა შტატებსაც დაეხმარება, რომ მათაც გაუწიონ ვეტერანებს დახმარება“.

მყიდველი სინტია ჯონსტონი ამბობს: „ჩვენ გავიმარჯვეთ. მე ვამაყობ იმით, რომ კოლორადო პირველია ქვეყანაში და მსოფლიოში. აკრძალვა უკვე წარსულში დარჩა“.

ამ მამაკაცმა თქვა, რომ საყიდლად მას მხოლოდ ფული და პირადობის მოწმობა დასჭირდა. რეკრიაციული მიზნებისთვის მოსაწევის გაყიდვის სხვა მომხრეები, მოუთმენლად ელიან მათთვისაც იგივე შესაძლებლობის გაჩენას. მარიხუანით ვაჭრობის სრული ლეგალიზება პირველად, 2013 წლის დეკემბერში, ურუგვაიმ მოახდინა. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ასეთი საშუალებით ნარკომაფიას შემოსავლებს შეუმცირებს. კანონპროექტში ასევე ნათქვამია, რომ მარიხუანით ვაჭრობა სახელმწიფო მონოპოლია გახდება, ხოლო უცხოელებზე მისი გაყიდვა აკრძალული იქნება. მარიხუანის შეზღუდული ბრუნვა ასევე ნებადართულია კანადაში, ჩეხეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში.

გ. ქ.

# უკრაინაში სტეპან ბანდერას დაბადების 105-ე წლისთავი აღნიშნეს

## „მაიდანზე“ კვლავ ხალხმრავლობაა

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს ეროვნული გმირების ხსოვნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. უკრაინელებმაც 1 იანვარს სტეპან ბანდერას დაბადებიდან 105-ე წლისთავი აღნიშნეს.

– კიევში ჩირაღდნებით მსვლელობა მოეწყო. აქციები ჩატარდა როგორც ლვოვსა და ივანო-ფრანკოვსკში, ასევე დნეპროპეტროვსკშიც, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

აღნიშნული აქციები პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ მიერ იყო ორგანიზებული. მათში ათასობით ადამიანი მონაწილეობდა.

### ბანდერა კრემლისათვის დღესაც საშიშია!

სტეპან ანდრეის ძე ბანდერა (1909-1959) 1 იანვარს ივანო-ფრანკოვსკის მახლობლად სოფელ სტარო-უგრინოვში იქაური ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მღვდლის ოჯახში დაიბადა. უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციაში (ოუნ) სრულიად ახალგაზრდა, თვრამეტი წლისა, შევიდა. ის აქტიურად ჩაება პოლონელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც მაშინ დასავლეთ უკრაინაში ბატონობდნენ. ბანდერამ მოღვაწეობა უბრალო იატაკქვეშელობით დაიწყო და ოუნ-ის ხელმძღვანელობით დაასრულა. ფართო საზოგადოებისათვის ის პირველად ცნობილი 1934 წელს გახდა, როცა პოლონეთის მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ბრონისლავ პერაცკის ლიკვიდაცია განახორციელა. ამის გამო სიკვდილი მიუსაჯეს, რაც შემდგომში სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს. 1939 წელს ბანდერა ციხიდან გაიქცა. მეორე მსოფლიო ომის დროს ის იარაღით ხელში დაუპირისპირდა როგორც ნაცისტ, ასევე საბჭოთა ოკუპანტებს. როგორც კი გერმანელებმა ლვოვი დაიკავეს (1941 წლის 30 ივნისი), ბანდერამ მყისვე გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა და დროებითი მთავრობა ჩამოაყალიბა. ორი დღის შემდეგ ბერლინიდან ჩამოსულმა აინზაცკომანდამ ამ მთავრობის ყველა წევრი დააპატიმრა. გერმანელებმა კატეგორიულად მოითხოვეს დამოუკიდებლობის აქტის გაუქმება. უკრაინული სახელმწიფოს შექმნა ჰიტლერის სქემაში არ იჯდა.

– იდიოტიზმია, თუნდაც ერთი წვეთი გერმანული სისხლი დავღვაროთ იმისათვის, რომ ვიღაც გავათავისუფლოთ. ჩვენ დამოუკიდებელი უკრაინა კი არა, გერმანელთათვის სასიცოცხლო სივრცის მოპოვება გვჭირდება, – წერს თავის დღიურში დოქტორი გებელსი.

ბანდერამ დამოუკიდებლობის აქტის გაუქმებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ამის გამო ის ზაქსტენგაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს, სადაც სიკვდილს სასწაულით გადაურჩა. მისი ორი ძმა, ვასილი და ალექსანდრე, ოსვენციმში დაიღუპნენ. ბანდერას თანამოაზრეებმა კი შექმნეს უპა (უკრაინის აჯანყებულთა არმია) და დაიწყეს შეიარაღებული ბრძოლა როგორც გერმანელი, ისე რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა 1956 წლამდე გაგრძელდა. ბანდერა, რომელიც მიუნხენში დამკვიდრდა, ამ პარტიზანულ ომს პირადად ხელმძღვანელობდა. ამის გამო საბჭოთა სუკმა მასზე ნამდვილი ნადირობა გააჩაღა. 1959 წლის 16 ოქტომბერს საბჭოთა აგენტმა ბოგდან სტაშინსკიმ მიუნჰენში ბანდერას მოკვლა მოახერხა.

– საბჭოთა პროპაგანდა წლების მანძილზე ბანდერაზე ცილისწამებას ავრცელებდა. მას ბრალად სდებდნენ ნაცისტებთან თანამშრომლობას, თუმცა სინამდვილეში ის ნაცისტების წინააღმდეგ იბრძოდა, – წერს ცნობილი უკრაინელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ვლადიმერ იავორივსკი.

საბჭოთა იმპერია დაინგრა, მაგრამ „დემოკრატიულმა რუსეთმა“ ბანდერაზე ცილისწამების კომპანია განაგრძო, რამაც ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ ფართო მასშტაბები შეიძინა.

– ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ბანდერა კრემლისათვის დღესაც საშიშია! – აცხადებს პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერი, უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ოლეგ ტიაგნიბოკი.

### რამდენად მიზანშეწონილია დღეს ამ აქციის ჩატარება?

უკრაინელი ნაციონალისტები 1 იანვარს ანუ ბანდერას დაბადების დღეს მუდამ აღნიშნავდნენ. ეწყობოდა მსვლელობები ჩირაღდნით, ტარდებოდა მიტინგები. ამას ძალზე უარყოფითი რეაქცია ჰქონდა როგორც მოსკოვში, ისე ვარშავაშიც. პოლონეთში გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც ბანდერელებს მეორე მსოფლიო ომის დროს დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე პოლონელთა ჟლეტაში ადანაშაულებენ (ვოლინის ხოცვაჟლეტა). სწორედ მათ სცადეს, რათა პოლონეთის სეიმს მიეღო კანონი, რომლის ძალითაც ბანდერელებს პოლონელთა გენოციდში ედებოდათ ბრალი. როგორც ცნობილია, პარლამენტმა ასეთ დადგენილებას მხარი არ დაუჭირა.

რამდენად მიზანშეწონილია დღეს ბანდერას მადიდებელი აქციის გამართვა? ამ ნიადაგზე ცხარე დისკუსიები გაიმართა. პარტია „ბატკივშჩინასა“ და „უდარის“ წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ დღეს ასეთი აქციის გამართვა მიზანშეუწონელია. მათი არგუმენტები შემდეგი იყო: 1) ბანდერას პიროვნების მიმართ უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში არაერთგვაროვანი განწყობილებაა, ჩვენი ამოცანა კი იანუკოვიჩის წინააღმდეგ ყვე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათკვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**ცფ,ფყრჯ ჰტრდბპბნტ,ბ5**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 LBRTGE22
fyu8 N GE28LB 0122 1802 48686 000



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs
cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib
2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2
[j,bc vjyfcnthb8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC
LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB
BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

## რომის პაპის ფრანცისკოს ქადაგებებს მის წინამორბედთან შედარებით სამჯერ მეტმა ადამიანმა მოუსმინა



რომის პაპის ფრანცისკოს ქადაგებას გასულ, 2013 წელს 6,6 მილიონმა კათოლიკემ მოუსმინა, რაც სამჯერ მეტია 2012 წელს ბენედიქტე მეთექვსმეტის ქადაგების მსმენელთა რაოდენობაზე. შესაბამის ინფორმაციას ვატიკანის კანცელარია ავრცელებს.

რომის პაპი ჟურნალმა „თაიმმა" გასული წლის ადამიანად აღიარა. იგი პონტიფიკად 2013 წლის მარტში აირჩიეს.

ფრანცისკო ლათინური ამერიკის პირველი წარმომადგენელია, რომელიც რომის პაპის ტახტზე ავიდა.

ციფრი 6,6 მილიონი პაპის მესაზე დასასწრები ბილეთებისა და პაპის ქადაგებისას წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილი მრევლის რაოდენობის მიმატებით გამოიყვანეს.

რომის ახალი პაპი ფრანცისკო პირველი (ხორხე მარიო ბერგოლიო) 1936 წლის 17 დეკემბერს არგენტინაში, იტალიელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. პირველადი პროფესიით იგი ქიმიკოსია. მოგვიანებით სწავლობდა ბუენოს აირესის სასულიერო სემინარიაში. მორჩილების პერიოდი ჩილეში გაიარა. სწავლა კი წმინდა იოსების სახელობის კოლეჯში განაგრძო ფილოსოფიის მიმართულებით. რის შემდეგაც არგენტინის სამ კოლეჯში თავად ასწავლიდა ფილოსოფიას, ლიტერატურასა და თეოლოგიას.

ფრანცისკო პირველი 1969 წელს მღვდლად აკურთხეს. ამავე წელს აირჩიეს სან მიგელის სახელობის კოლეჯის თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორად.

1980 წელს კი წმინდა იოსების სემინარიის რექტორად დაინიშნა, სადაც 1986 წლამდე მსახურობდა. სწორედ ამ პერიოდში დაიცვა დისერტაციაც.

1992 წელს ხორხე ბერგოლიო ბუენოს აირესის ეპისკოპოსად დანიშნა, 1997 წელს კი მას კოადიუტორის (ეპისკოპოსი, რომელსაც ეპარქიის ჩაბარების უფლება აქვს) სტატუსი მიენიჭა.

1998 წლის 28 თებერვალს კი რომის დღევანდელი პაპი ბუენოს აირესის არქიეპისკოპოსი გახდა. 2001 წლის 21 თებერვალს რომის პაპ იოანე პავლე მეორის გადაწყვეტილებით კარდინალის წოდება მიენიჭა.

როგორც კარდინალი, იგი იყო სულიერებისა და ღვთისმსახურების კონგრეგაციის წევრი.

2005-2008 წლამდე ფრანცისკო პირველი არგენტინაში მიმდინარე ყველა საეპისკოპოსო კონფერენციებს ხელმძღვანელობდა.

გ. ქ.

## იულია ტიმოშენკო პატიმრობის პირობების შემსუბუქებას ითხოვს



უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო პატიმრობის პირობების შემსუბუქებას ითხოვს. როგორც რუსული მედია წერს, იულია ტიმოშენკომ სასჯელის მესამედი უკვე მოიხადა და მისი თხოვნაც აქედან გამომდინარეობს.

უკრაინის ყოფილმა პრემიერმა შესაბამისი თხოვნა უკვე გადაუგზავნა კაჩანოვსკის ციხის ადმინისტრაციას.

როგორც იულია ტიმოშენკოს ადვოკატი სერგეი ვლასენკო აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს იმედი აქვს, რომ მას უფლებას მისცემენ, თავისუფლად გამოვიდეს ქალაქში.

ადვოკატი დარწმუნებულია, რომ ციხის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ტიმოშენკოს ამ თხოვნაზე უარი უთხრას.

უკრაინის ექს-პრემიერი იულია ტიმოშენკო 2009 წლის ოქტომბერში დააკავეს. მას ბრალად რუსეთთან გაზის ხელშეკრულების დადებისას უფლებამოსილების გადამეტებაში და ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანო ხელშეკრულების გაფორმებაში დასდეს ბრალი. სასამართლომ ყოფილ პრემიერს 7 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

თავის მხრივ, ევრომაიდნის აქტივისტები, ავტოინსპექტორების მხრიდან დემონსტრანტებზე ზეწოლის გამო, სახელმწიფო ავტოინსპექციის (გაი) შენობის პიკეტირებას გეგმავენ. ამის შესახებ უკრაინული მედია იუწყება.

„ბოლო დღეებში ავტოინსპექციაში მასობრივად იბარებენ ევრომაიდნის აქტივისტებს, რომლებიც 29 დეკემბერს პრეზიდენტის რეზიდენციასთან შეიკრიბნენ. ჩვენი აზრით, მილიციის თანამშრომელთა ასეთი ქმედებები პირდაპირი ზეწოლაა მაიდანზე და იმ ადამიანების დაშინებაა, რომლებიც საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვას არ ერიდებიან", — ნათქვამია იულია ტიმოშენკოს პარტია „ბატკივშინას" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან, ევრომაიდნის აქტივისტთა განცხადებით, უკვე რამდენიმე დღეა, მილიციაში იბარებენ ადამიანებს, რომლებიც რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის რეზიდენციის პიკეტირებაში მონაწილეობდნენ.

გ. ქ.

## ვლადიმერ პუტინი სოჭის ოლიმპიურ ობიექტებს ინსპექტირებას ჩაუტარებს



რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი, რომელიც ამ დღეებში სოჭში იმყოფება, აპირებს ისარგებლოს შემთხვევით და სოჭის ოლიმპიური ობიექტების მზადყოფნას საფუძვლიანი ინსპექტირება ჩაუტაროს. ამის შესახებ ვლადიმერ პუტინის პრესმდივანმა, დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, სოჭში ასევე იმყოფება ოლიმპიადის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ყველა პირი.

„მიმდინარე დღეებში პრეზიდენტი დეტალურად გაეცნობა ყველა ობიექტს. ასევე, კიდევ ერთხელ ნახავს, როგორ მიდის მზადება ოლიმპიადის და პარაოლიმპიადის გახსნისთვის. ამასთან, პუტინი აპირებს განსაკუთრებული ყურადღება არა მხოლოდ იმ ობიექტებზე გაამახვილოს, რომლებიც სრულად არიან მზად ოლიმპიადისთვის, არამედ იქ, სადაც მცირე ხარვეზებია", — განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.

ვლადიმერ პუტინი სოჭში ოლიმპიური ობიექტების შემოწმებისას კომპლექს „ლაურას" ტრასებზე თხილამურებით რამდენჯერმე დაეშვა. შემდეგ მას შეუერთდა პრემიერი დიმიტრი მედვედევი, მათ ერთად ისრიალეს თხილამურებით. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა გასაუბრებისას გლინტვეინი მიირთვეს.

ტრასა, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა გაიარა, არ მიეკუთვნება ოლიმპიურთა რიცხვს და თამაშების მსვლელობისას არც შეჯიბრებებს უმასპინძლებს. თუმცა მის მიმდებარედ ბიატლონისა და სათხილამურო შეჯიბრებების ოლიმპიური კომპლექსია.

„აპსნი. რუ-ს" ინფორმაციით კი, სოჭის ოლიმპიადისთვის ტვირთების გადაზიდვების ორგანიზაციის დეპარტამენტი იმ ავტომობილებზე აკრედიტაციებს გასცემს, რომლებიც სოჭის 2014 წლის ოლიმპიადას მოემსახურებიან. როგორც აღნიშნული ორგანიზაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, დამირ იაკვაშევი აცხადებს, იმისათვის, რომ აფხაზეთი ოლიმპიადის დროს არ აღმოჩნდეს „სასაქონლო ბლოკადაში", აფხაზურ მანქანებზე 500 აკრედიტაცია გაიცემა. მისივე თქმით, ავტომობილებს ექნებათ წარწერა „აფხაზეთი".

სოჭის ოლიმპიადისთვის ტვირთების გადაზიდვების ორგანიზაციაში 21 ათასი განაცხადია უკვე დარეგისტრირებული. აკრედიტაციების გაცემა უკვე დაწყებულია და 7 იანვრამდე დასრულდება.

გ. ქ.

## ლატვიის მოსახლეობა ევროზე გადასვლის შემდეგ ფასების ზრდის გამო წუხს



ლატვიელი უფლებადამცველები აცხადებენ, რომ ქვეყნის ევროზონაში შესვლის შემდეგ, ვალუტის არასწორი კონვერტაციისა და ფასების ზრდის გამო, მოსახლეობა მრავალრიცხოვანი საჩივრებით მიმართავს.

მომხმარებელთა დაცვის ცენტრში, 2014 წლის პირველ სამ დღეში, ევროსთან დაკავშირებული სამჯერ უფრო მეტი საჩივარი მიიღეს, ვიდრე 2011 წელს ქვეყანაში მისი გამოჩენიდან მოყოლებული სულ. ამასთან, საჩივართა უმრავლესობა საფუძვლიანი აღმოჩნდა: მომხმარებელთა მხრიდან დარღვევის შესახებ ინფორმაცია, 78% შემთხვევაში დადასტურდა.

ფასების ზრდასა და ვალუტის არასწორ კონვერტაციასთან ერთად, ლატვიელების უკმაყოფილებას ცალკეულ მოვაჭრეთა ქმედებაც იწვევს, ისინი საქონელზე ფასს, ქვეყანაში ამ დროისთვის მოქმედ ორივე ვალუტაზე — ლატსა და ევროში, არ უთითებენ.

ლატვია 2014 წლის 1 იანვრიდან ევროზონას საბოლოოდ შეუერთდა. ახალა ქვეყანაში გარდამავალი პერიოდი მოქმედებს. საყიდლებზე გადახდა ხდება როგორც ლატში, ასევე — ევროში, თუმცა, ხურდას მოლარეები ყველა შემთხვევაში ევროთი აბრუნებენ. ვარაუდობენ, რომ გარდამავალი პერიოდი 2014 წლის 14 იანვრამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც, ბრუნვაში მხოლოდ ევრო დარჩება.

ევროზონა, ასევე ევროსისტემა ან ევროლენდი მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

2007 წლისთვის ევროზონაში შემდეგი ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. შემდეგი ქვეყნები ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ევროს მონეტების გამოშვების უფლება აქვთ: ვატიკანს, სან-მარინოს, მონაკოს.

2008 წლის 1 იანვარს ევროზონაში შევიდნენ კვიპროსი და მალტა. 2009 წლის 1 იანვარს ევროზონას შეუერთდა სლოვაკეთი, 2011 წლის 1 იანვარს — ესტონეთი, ხოლო 2014 წლის 1 იანვარს — ლატვია.

გ. ქ.

## არხოტში 26 წლის მამაკაცი გაიყინა

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრისთვის ცნობილი გახდა, რომ არხოტში მყოფ ბარისახოელ ერეკლე ჭინჭარაულს ამღასთან ახლოს ყინულზე ფეხი მოუცურდა და ასაში ჩავარდა. ის, მასპინძელ პაატა წიკლაურთან ერთად 2 იანვარს დილას ადრე ამღიდან მესაზღვრეებისკენ მიდიოდა ახალი წლის მისალოცად. საზღვარი ამღიდან 9 კილომეტრშია.

დეტალების დაზუსტება რთულია, რადგან ერთადერთ მოწმეს ასევე უტელეფონობის გამო არხოტში ვერ ვუკავშირდებით. თბილისსა და ბარისახოში მყოფებმა კი ეს ამბავი ასევე გადმოცემით იციან.

პაატა წიკლაურის ოჯახი ამღის ერთადერთი მოსახლე კომლია, პაატა და მისი ძმა გიგი მარტო ცხოვრობენ სოფელში დედასთან, სანდო წიკლაურთან ერთად.

როგორც ჩანს, დასველებულმა ერეკლემ მოძრაობა ველარ შეძლო. მარტო პაატაც ვერ დაეხმარა მეგობარს. სანამ ის მესაზღვრეებთან ჩავიდა, სანამ საზღვრიდან სამაშველო სამსახურს დაუკავშირდნენ, სანამ ვერტმფრენი ექიმებით არხოტში ჩაფრინდა, 26 წლის ერეკლე ჭინჭარაული გარდაიცვალა.

არხოტიონების განმარტებით, ხეობაში ტელეფონი რომ იჭერდეს და ექიმი იყოს, მძიმე შემთხვევა შეიძლება არ მომხდარიყო.

შეგახსენებთ, რომ არხოტი კავკასიონს გადაღმა, ასას სათავეებში მდებარეობს. ხეობის სამივე სოფელში - ჭიმღაში, ახიელსა და ამღაში - მესაზღვრეების გარდა სულ 8-9 ადამიანი იზამთრებს. იქ არ არის მობილური კავშირგაბმულობა, აღარ არის სკოლა, არ არის ამბულატორია, მაღაზია. არ მუშაობს არცერთი სხვა სახელმწიფო დაწესებულება. ადამიანები მხოლოდ საკუთარი თავის, მეზობლისა (მეზობელი ხშირად მეზობელ სოფელში მყოფს ნიშნავს) და მესაზღვრეების იმედად ცხოვრობენ. ახალგაზრდა ოჯახები არხოტში ველარ რჩებიან. შარშან უსკოლობის გამო უკანასკნელი სამბავშვიანი ოჯახი წამოვიდა ახიელიდან.

არხოტში საქართველოს მხრიდან არასოდეს ყოფილა სამანქანო გზა, ფეხით სავალი გზა ოქტომბრიდან მაის-ივნისამდე იკეტება. ზამთრის პერიოდში ხეობის სოფლებში მოხვედრა მხოლოდ ვერტმფრენით შეიძლება.

ხელისუფლების დაპირებით, როშკა-ამღის დამაკავშირებელი სამანქანო გზის გაყვანა 2014 წლიდან დაიწყება.

მცხეთა-მთიანეთის
საინფორმაციო ცენტრი

## პეტრე მამრაძე: მარაზმისათვის წერტილის დასმა შეეძლო ჩვენს „ხათრით არჩეულ" „პლასტელინ" პრეზიდენტსაც

პეტრე მამრაძე სვამს კითხვას თუ როგორ უნდა ემოქმედა ხელისუფლებას ვანო მერაბიშვილის სკანდალურ განცხადებაზე, მისი ვითომცდა ციხიდან ღამის საათებში გაყვანის თაობაზე

— მაინც როგორ უნდა ემოქმედა ხელისუფლებას?

— პასუხი არის მარტივი და ცხადი ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის. მერაბიშვილის განცხადების შემდეგ მაშინვე უნდა გაერკვიათ სიმართლე: ეკითხათ მთავარი პროკურორისათვის და ენახათ ციხის კადრები. (იურისტები ერთხმად მეუბნებიან, რომ სასჯელაღსრულების მინისტრს სრული უფლება აქვს ყოველგვარი გამოძიების გარეშე ნახოს კადრები (შესაბამისი დანადგარი მის კაბინეტში დგას) და გააცნოს ისინი კოლეგებს). სიმართლის დადგენის შემდეგ უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება მთავარი პროკურორის გათავისუფლების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ქოცების ლიდერებს შორის თუნდაც ერთ კაცს რომ გამოეჩინა პრინციპულობა, ხელისუფლება ვერ მიიღებდა მთავარი პროკურორის დანაშაულის დაფარვის დანაშაულებრივ და ქვეყნისათვის უაღრესად საზიანო გადაწყვეტილებას.

მაგალითად, სასჯელაღსრულების მინისტრს, სოზარ სუბარს, თავისი პირდაპირი მოვალეობა რომ შეესრულებინა და ეთქვა თავისიანებისათვის, რომ სიმართლეს იტყოდა საჯაროდ და კადრებსაც ყველას გააცნობდა, ყველა „ჯიუტი"" მაშინვე უკან დაიხევდა და ყველაფერი ქვეყნისათვის და მათთვისაც სასიკეთოდ დასრულდებოდა.

პარლამენტის თავმჯდომარეს და ან პარლამენტის წევრ ქოცებს მაშინათვე რომ ეთქვათ, რომ შექმნიდნენ საგამოძიებო კომისიას, გამოითხოვდნენ ვიდეომასალას და ა.შ., ყველაფერი ისევ სასიკეთოდ დასრულდებოდა.

მარაზმისათვის წერტილის დასმა შეეძლო ჩვენს „ხათრით არჩეულ" „პლასტელინ" პრეზიდენტსაც. მისი უფლებამოსილება სავსებით საკმარისია ამისათვის. უფრო მეტიც, სასჯელაღსრულების მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის მსგავსად ის ვალდებულიც იყო ეს გაეკეთებინა.

გარდიანი.გე

# უკრაინაში სტეპან ბანდერას დაბადების 105-ე წლისთავი აღნიშნეს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლა ძალის კონსოლიდაციაა; 2) ბანდერას მადიდებელ აქციას უარყოფითად შეხვდებიან პოლონეთში, ეს ქვეყანა კი დღეს დასავლეთში უკრაინის უმთავრესი ლობისტია; 3) ბანდერა არ იყო ლიბერალი, ასეთი მოღვაწის განდიდებას ევროპელი ლიბერალები უარყოფითად შეხედავენ, ჩვენ კი მათი მხარდაჭერა ჰაერივით გვჭირდება; 4) მსვლელობა ჩირაღდნებით ბევრში უსიამოვნო ასოციაციას იწვევს, რაც ჩვენს ოპონენტებს, რომლებიც ფაშიზმში გვადანაშაულებენ, დამატებით კოზირებს მისცემს; 5) მოსალოდნელია პროვოკაციები, რასაც ხელისუფლება ოპოზიციის წინააღმდეგ გამოიყენებს.

— დისკუსია იმით დასრულდა, რომ „მაიდანის" საბჭომ აქციის გამართვას მხარი არ დაუჭირა. აქციის ჩატარება თავის თავზე მხოლოდ „სვობოდამ" აიღო, — იტყობინება ბი-ბი-სი.

ვიტალი კლიჩკომ საგანგებო განცხადება გააკეთა: „მაიდანს" ამ აქციასთან საერთო არაფერი აქვს, ყველაფერი „სვობოდას" ინიციატივააო.

### რეკორდი არ შედგა

მაიდანზე კი საპროტესტო აქცია გრძელდებოდა. ოპოზიციის ლიდერებმა ხალხს მოუწოდეს არ დაშლილიყვნენ და ახალ წელს აქ შეხვედროდნენ. პირველი იანვრისათვის მაიდანზე ბანდერას ვეებერთელა პორტრეტი ჩამოკიდეს. შეკრებილი ხალხი ამას ტაშისცემით შეხვდა პორტრეტის ქვეშ დიდი ასოებით ეწერა: „ან მოვიპოვებთ თავისუფლებას, ან ბრძოლაში დავიღუპებით".

— ჩვენ გვსურს, რეკორდი დავამყაროთ, — განაცხადა რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტთან საუბარში აქციის ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ, ცნობილმა მომღერალმა რუსლანამ.

საქმე ის არის, რომ რამდენიმე წლის წინ ინდოეთის ერთ-ერთი ქალაქის მთავარ მოედანზე 615 ათასი ადამიანი შეიკრიბა და ეროვნული ჰიმნი დააგუგუნა. რუსლანა აცხადებდა, რომ ახლა კიევში ახალ წელს მაიდანზე მილიონამდე მოქალაქე შეიკრიბება, ეროვნულ ჰიმნს იმღერებს და ინდოელების რეკორდსაც გადავფარავთო. აქციის მონაწილეებმა გინესის წარმომადგენლები საგანგებოდ მიიწვიეს, თუმცა რეკორდი არ შედგა.

— მაიდანზე მხოლოდ ასი ათასი ადამიანი შეიკრიბა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება".

შეკრებილებმა ეროვნული ჰიმნი დააგუგუნეს. მართალია, ინდოელთა რეკორდის გადაფარვა ვერ მოხერხდა, მაგრამ ფაქტია ის, რომ ახალი წლის დღესასწაულებზეც მაიდანი ხალხით იყო სავსე.

### მასობრივი აქცია

ბანდერას დაბადების დღეზე აქციები „სვობოდამ" ჩაატარა. ლვოვში, ტერნოპოლსა და ბანდერას მშობლიურ ივანო-ფრანკოვსკში ჩატარდა მიტინგები, გაიმართა მსვლელობები, რომლებშიც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

— აქციები არ იყო მრავალრიცხოვანი. დასავლეთ უკრაინაში ყველამ კარგა ხანია გაითავისა, რომ ბანდერა ეროვნული გმირია, — იტყობინება ბი-ბი-სი.

სამაგიეროდ, მასობრივი აქცია ჩატარდა კიევში. „სვობოდას" ინიციატივით მოეწყო მსვლელობა ჩირაღდნებით, რომელშიც ათი ათასამდე მოქალაქე მონაწილეობდა. მომიტინგენი სკანდირებდნენ: „უკრაინა — ეს ევროპაა".

— ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ ეროვნული მთავრობა არა გვყავს. უკრაინას კლანურ-ოლიგარქიული რეჟიმი მართავს, რომელიც თავისი პირადი და არა ქვეყნის ინტერესებიდან გამოდის. ევროინტეგრაციაც ამიტომ შეჩერდა. მე მსურს, რომ ეროვნული მთავრობა გვყავდეს, ჩვენს ეროვნულ გმირებს, მათ შორის ბანდერას, სათანადო პატივი მივაგოთ, — განაცხადა რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტთან საუბარში აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

როგორც მოსალოდნელი იყო, მსვლელობისას პროვოკაციაც მოხდა. როგორც კი მომიტინგენი ფეშენებელურ სასტუმრო „პალაცს" გაუსწორდნენ, საიდანღაც რამდენიმე ნიღბოსანი გამოჩნდა. მათ სასტუმროს შენობაში შუშხუნა შეაგდეს.



— შედეგად გაჩნდა ცეცხლი. საბედნიეროდ, სასტუმროს დაცვამ ის დროზე ჩააქრო, — იტყობინება „ინტერი".

როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, შემთხვევის ადგილას გაჩნდა რამდენიმე მოქალაქე, რომლებმაც პატრიოტების ლანძღვა დაიწყეს. „ესაა ეროვნული მოძრაობა?! ამ უმსგავსობას ბოლო როდის მოეღება? სად იყურება ხელისუფლება?!" და ა.შ. „სვობოდამ" გააკეთა განცხადება და მომხდარი პროვოკაციად შეაფასა. უკრაინის შს-მ კი განაცხადა, რომ აღნიშნული ფაქტის გამო საქმეა აღძრული და გამოძიებაც მიმდინარეობს.

მსვლელობის შემდეგ ჩატარდა მიტინგი. შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართეს „სვობოდას" ლიდერმა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ტიაგნიბოკმა, „სვობოდას" აქტივისტმა მიროშნიჩენკომ, პარლამენტის დეპუტატმა ვიაჩესლავ კირილენკომ, უკრაინელ ნაციონალისტთა კონგრესის წევრებმა, უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებმა.

— თავის დროზე კრემლმა უამრავი სახსრები დახარჯა, რათა ბანდერა მოეკლა. მის წინააღმდეგ ომს სიკვდილის შემდეგაც განაგრძობდნენ. ბანდერას დისკრედიტაციისათვის შექმნილია მთელი ბიბლიოთეკები, სადაც მას ჩირქს სცხებენ, გადაღებულია უამრავი ფილმი, რომლებიც ოუნ-ის მეთაურს ნეგატიური კუთხით წარმოაჩენენ. მიუხედავად ამისა ჩვენი მტრები ვერაფერს გახდნენ. უკრაინელებისათვის ბანდერა ეროვნული გმირია! — განაცხადა ოლეგ ტიაგნიბოკმა, — ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ჩვენი ხალხი ბანდერას დაბადების დღეს მუდამ აღნიშნავს!

უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა განაცხადა. რომ დღეს უკრაინა იმავე გზით მიდის, რომლითაც მიდიოდნენ სიმონ პეტლიურა, ევგენი კონოვალეცი, სტეპან ბანდერა, რომან შუხევიჩი.

— ჩვენ არაფერს დავთმობთ. უკრაინა ევროპის ნაწილია და ევრაზიულ სივრცეში მას ვერავითარი ძალა ველარ შეიყვანს, — განაცხადა მან.

ბანდერას დაბადების დღისადმი მსვლელობა აღმოსავლეთ უკრაინის რიგ ქალაქებშიც ჩატარდა. დნეპროპეტროვსკში ასეთ აქციაში მონაწილეობა ათასამდე მოქალაქემ მიიღო. მსვლელობის შემდეგ ქალაქის მთავარ პარკში მიტინგიც გაიმართა.

როგორ იმოქმედებს ბანდერას დაბადების დღის აღნიშვნა უკრაინელთა ერთობაზე?

რუსულმა მასმედიამ ბანდერას დაბადების დღის აღნიშვნა ფართოდ გააშუქა. რუსი ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ უკრაინელ ნაციონალისტთა ლიდერის ბანდერას დაბადების დღის აღნიშვნით უკრაინის დაშლის პროცესი დაიწყო.

— ბანდერა გმირად მხოლოდ დასავლეთ უკრაინაში მიაჩნიათ. დანარჩენი რეგიონებისათვის ის მიუღებელია. რაკი აქციაზე ბანდერას პორტრეტი გამოკიდეს, მისი დაბადების დღეც ასე საზეიმოდ აღნიშნეს, ამით უკრაინის დაშლას უზარმაზარი ბიძგი მისცეს, — განაცხადა ირინა ჰაკამადამ.

ცნობილმა ასტროლოგმა პაველ გლობამ ფსბ-ს ძველი თეზისი გაიმეორა და იწინასწარმეტყველა, რომ მომავალ 2014 წელს უკრაინა სამ ნაწილად გასკდება.

— ბანდერას მსგავსი პიროვნებების განდიდება ამას დამატებით ბიძგს მისცემს. მალე დონეცკსა და ხარკოვში ხელისუფლების ალტერნატიული ცენტრი ჩამოყალიბდება. რაც შეეხება ყირიმს, ის „უკრაინის ჩეჩნეთად" გადაიქცევა, — ამბობს გლობა.

ასტროლოგის აზრით, აღმოსავლეთ უკრაინაში (დედაქალაქით ხარკოვში) შეიქმნება უკრაინული რესპუბლიკა, რომელიც რუსეთ-ბოლორუსიის კავშირს შეუერთდება. კიევში მეორე უკრაინული რესპუბლიკა აღმოცენდება, რომლის გარშემოც ცენტრალური უკრაინა გაერთიანდება. დასავლეთი რეგიონი კი ცალკე სახელმწიფოს შექმნის, რომლის დედაქალაქიც თურმე ლვოვი გახდება.

— რაც შეეხება ყირიმს, ოდესას, ხერსონსა და ნიკოლაევს, ეს მხარე ისტორიულად მუდამ რუსეთი იყო და უკრაინის რესპუბლიკასაც მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში შეუერთდა. რაკი კომუნიზმი დაიგმო, ლენინის ძეგლიც აიღეს, ეს მხარეც თავის ისტორიულ სამშობლოს ანუ რუსეთს უნდა დაუბრუნდეს, — ასკვნის გლობა.

ასტროლოგების პირით ხშირად სპეცსამსახურები ლაპარაკობენ. გლობამაც ფაქტიურად ფსბ-ს გეგმა გააჟღერა. მართლაც რუსეთი უკვე კარგა ხანია, რაც უკრაინის დაშლისათვის იღწვის. 2014 წელი ამ მხრივ გადამწყვეტი იქნება. კრემლი თავის გენერალურ შეტევას განახორციელებს. თუკი უკრაინამ ამას გაუძლო, დამოუკიდებლობასაც შეინარჩუნებს და ტერიტორიულ მთლიანობასაც. მის ევროინტეგრაციასაც ველარაფერი შეაფერხებს. რამდენად აძლევს ბიძგს უკრაინის დაშლას ბანდერას დაბადების დღის აღნიშვნა? ამ მხრივ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს უკრაინელი ექსპერტი ვიტალი ბალა.

— მაიდანზე პატრიოტულად განწყობილი მოქალაქეები შეიკრიბნენ. ბანდერაც მათთვის ეროვნული გმირია, მიუხედავად იმისა, თუ უკრაინის რომელ რეგიონში ცხოვრობენ. კანონზომიერია, რომ ოუნ-ის ლიდერის დაბადების დღე არა მხოლოდ ლვოვში, არამედ კიევსა და დნეპროპეტროვსკშიც აღნიშნეს. შესაბამისად, ეს არავითარ გათიშვას სტიმულს არ მისცემს, — ამბობს ბალა.

### ეპილოგი

ამრიგად, საახალწლო დღესასწაულის მიუხედავად, უკრაინაში აქციები არ ჩაცხრა. მაიდანზე ხალხმრავლობა იყო. 1 იანვარს ბანდერას დაბადების დღეც აღნიშნეს. შეიქმნა საზოგადოებრივი მოძრაობა „მაიდანი", რომელიც ახლო მომავლისათვის მასობრივ გამოსვლებს გეგმავს.. ვიტალი კლიჩკომ მიტინგზე აღნიშნა, რომ დღესასწაულების დასრულებისთანავე უკრაინაში საერთო-ეროვნული გაფიცვა დაიწყება.

— ჩვენი მოთხოვნები უცვლელია: აზაროვის მთავრობის გადადგომა და ვადამდელი არჩევნების ჩატარება, — განაცხადა კლიჩკომ.

კიევის გარდა, მაიდანები ხარკოვსა და დონეცკშიც მოქმედებენ. სავარაუდოდ, მათ მალე მხარს უკრაინის სხვა ქალაქებიც დაუჭერენ. ცხადია, ხელისუფლება პოზიციებს არ დათმობს და კონტრზომებს განახორციელებს. უკვე ვრცელდება ინფორმაცია დაგეგმილი პროვოკაციების შესახებ. მიუხედავად ამისა, „მაიდანი" დაშლას არ აპირებს.

— იანუკოვიჩს ვუცხადებთ, რომ ის კი არა, ხალხია ამ ქვეყნის სრულფასოვანი ბატონ-პატრონი! უკან არ დავიხევთ და ამ ბრძოლაში ჩვენი გმირების, მათ შორის ბანდერას სულიც გვეხმარება. ბანდერა მოკლეს, მაგრამ მისი საქმე ცოცხალია! — განუცხადა რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტს კიევის აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ბრძოლა გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**

## ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ

კახა, ნანა კვიციანები ოჯახით იუწყებიან უძვირფასესი მამულიშვილის, ოჯახის ნათელ-მირონის

**რომან გუგუშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს მწუხარებაში.

დაკრძალვა: კვირას, 5 იანვარს, 14 საათზე, სენაკში.

---

უახლოესი მეგობრები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის 1963 წლის კურსდამთავრებულები დილავარდისა დავითულიანი, ლინა სუხიაშვილი-დათუნაიშვილი, კარლო კახაძე, ილია გვასალია თანაუგრძნობენ ღრმა მწუხარებაში მყოფ თანაჯგუფელს ჭიჭიკო ადეიშვილს ძვირფასი მეუღლის, შესანიშნავი ქალბატონის

**ნანა სილოვანის ასულ ჩლაიძე-ადეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

სამშობიარო „იმედის კლინიკა" სამძიმარს უცხადებს ექიმ ზაზა იმერლიშვილს მამიდის

**ალექსანდრა (დოდო) იმერლიშვილის**

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: 5 იანვარს, 13 საათზე.

მისამართი: ქ.გურჯაანი, სანაპიროს 10.

**ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ ვბბქჭ,ფ .ჯდჭქლქჭ7**
**რდბპბც უფჰლფ7!@-ლფყ!& ცფფსფვლჭ8**

## hჳχცდχჳლბ ,

**შვეულად:** 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. მაღალხარისხოვანი, არომატული სპირტიანი სასმელი; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექისათვის; 5. მომკილი პურის თავთავების სალეწი მოედანი; 6. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. შხამიანი გველი; 16. სატანვარჯიშო სპორტული იარაღი; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 20. ქართველი რაგბისტი; 23. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 24. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 25. მინერალური წყალი სამეგრელოში; 26. კუთხე საქართველოში.

**თარაზულად:** 7. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 12. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 13. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 15. პოპულარული ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 21. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 22. საიდუმლო წერისთვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტთათვის; 28. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



**ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმდც.ყც,ეჯბ hჳჯცდჯჳლც,ბც გფცე[ც,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ღვენთი; 2. ბერკლი; 3. ბარტოლდი; 4. აქციზი; 6. პიკადელი; 8. აფრიკა; 11. ქარაშოტი; 12. დემეტრე; 16. ბელგა; 17. დერბი; 18. შორტი.

**თარაზულად**: 1. ღრუბელი; 5. სტეპი; 7. მამლუქი; 9. ნესკაფე; 10. მინერვა; 13. კანდელი; 14. შაგალი; 15. ქერი; 19. გერგეტი; 20. ფელამუში; 21. სამთავისი; 23. დიჟონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. კუსტო; 2. შაორი; 3. გალიერა; 4. რენო; 5. სუმო; 6. სტატიკა; 9. კონდენსაცია; 10. ალარმისტი; 11. ლუსტრაცია; 14. ტოკაი; 16. ქაირო; 18. არაბიკა; 20. პარკეტი; 23. ალაო; 26. რაუტი; 25. ეროტი; 26. ლაპი.

**თარაზულად**: 7. პანკრეასი; 8. მონუმენტი; 12. ფეოლა; 13. გურია; 15. სიდრი; 17. კომენტარი; 19. რვალი; 21. დასტა; 22. კიურე; 27. აკონკაგუა; 28. კომპლექტი.

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4
ianvari

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 1,7366


ევრო — 2,392


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8692


100 რუსული რუბლი — 5,306

## ამინდის პროგნოზი 4 იანვრისთვის




# ცეკვავენ ვარსკვლავები“ ქეთი ხატიაშვილმა მოიგო

ეკა ირემაშვილი



ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონი ქეთი ხატიაშვილმა მოიგო. კონკურსანტი, რომელიც პროექტის ორგანიზატორებმა ინტერნეტის საშუალებით შეარჩიეს, მოცეკვავე წყვილებს შორის მაყურებელმა საუკეთესოდ დაასახელა. პროექტის პირველი სეზონის გამარჯვებულები გახდნენ სამორი ბალდე და ლიკა ლაბაძე, ხოლო მეორე სეზონი რუსკა მაყაშვილმა და ოთო ფოლადაშვილმა მოიგეს.

წელს პროექტის ფინალამდე ქეთი ხატიაშვილმა და გიორგი ბარბაქაძემ და თაკო ჩორგოლაშვილმა და გაგა თოდუამ მიაღწიეს. მესამე სეზონში მონაწილეობდნენ წყვილები იულია ქავთარაძე (მომღერალი, მსახიობი) და ოთო ფოლადაშვილი, ნანა ნებიერიძე (ჩემპიონი წყალში ხტომაში) და ლევან ახვლედიანი, გია სურამელაშვილი (მომღერალი) და ვერკა ჯაჯანიძე, სოფო ნიჟარაძე (მომღერალი) და რამაზ ლაზარიშვილი, ნინა წკრიალაშვილი (მომღერალი) და რეზო რობაქიძე, გუგა კუზანოვი (პლასტიკური ქირურგი) და მზია ორველაშვილი, გიორგი ყიფშიძე (მსახიობი) და ჯულიანა ბარ-გნარი, ნოდარ გურგენაშვილი (მსახიობი, პაატა „შუა ქალაქში“) და ხათუნა ოქიტაშვილი, თაკო ჩორგოლაშვილი („იმედის“ ჟურნალისტი) და გაგა თოდუა, ანატოლი ბოისა (კალათბურთელი) და სალომე ჭაჭუა, კოტიკო თოლორაია (წამყვანი) და ანი ჯაჯანიძე, ნინი ცნობილაძე (მომღერალი, „ახალი ხმის“ მეორე ადგილის მფლობელი) და იაკობ ყუფუნია და ქეთევან ხატიაშვილი (ტანმოვარჯიშე, პროექტის მე-13 მონაწილე) და გიორგი ბარბაქაძე. წელს „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ იყო ცვლილება. პროექტის ხელმძღვანელობამ მე-13-ე მონაწილე ინტერნეტით აირჩია და სწორედ ის გახდა მესამე სეზონის გამარჯვებული.

რაც შეეხება ჟიურის, მისი შემადგენლობა მთელი პროექტის განმავლობაში იცვლებოდა. მის შემადგენლობაში გაერთიანდნენ გოჩა ჩერტკოევი, ნიკოლოზ ცისკარიძე, სოფო შევარდნაძე, ნინო სურგულაძე, შორენა გაჩეჩილაძე-ჩერტკოევი, ოთარ ტატიშვილი, ნინო სუხიშვილი და ალექსანდრე ვენედიქტოვი.

პროექტის წამყვანებად წელს ნანკა კალატოზიშვილი, დუტა სხირტლაძე, ლიკა ლაბაძე და კახა კინწურაშვილი შეირჩნენ. ფინალურ დღეს ყველა კონკურსანტი წარსდგა ცირკში შეკრებილი მაყურებლის წინაშე და თითო საცეკვაო ნომერი შეასრულა. ერთი ნომერი წარმოადგინეს პროექტის უკრაინელმა ქორეოგრაფებმაც.

მაყურებლის გადაწყვეტილებით, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებული ქეთი ხატიაშვილი გახდა და მას გადაეცა ბინა „არქი ჯგუფისგან“, მეორე ადგილზე გასულმა თაკო ჩორგოლაშვილმა მიიღო ავტომობილი „კია“-სგან, პარტნიორმა კომპანიებმა კი თავისი ფავორიტები და კონკურსის სხვა მონაწილეები დაასაჩუქრეს.

დასკვნით კონცერტს ესწრებოდა ყველა კონკურსანტი სოფო ნიჟარაძის გარდა. მან პროექტი მამის გარდაცვალების გამო დატოვა და არც ფინალურ საღამოს დასწრებია. სამაგიეროდ, მომღერალმა ევროპის მოედანზე დაგეგმილ კონცერტში მიიღო მონაწილეობა და იქ შეკრებილ თანამოქალაქეებს ახალი წელი მიულოცა.

„არაი თუმოროუმ“ თაკო ჩორგოლაშვილს ელჯის ჯიპადი აჩუქა. ამავე კომპანიის რჩეული გახდა ტოლი ბოისა და მან მოიგო მოგზაურობა დუბაიში. კომპანია „ყაზბეგმა“ ავსტრიაში საუკეთესო სამთო-სათხილამურო კურორტზე ორკაციანი საგზური აჩუქა ნინი ცნობილაძეს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ ყაზბეგში აჩუქა წყვილს ერთკვირიანი საგზური სასტუმრო „ყაზბეგი რუმსში“ და მისი მფლობელები იულია ქავთარაძე და ოთო ფოლადაშვილი გახდნენ.

სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის“ ხელმძღვანელის მაია რჩეულიშვილის გადაწყვეტილებით, „ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთ სახლში ბინა მიიღო გიორგი ყიფშიძემ. „ნატალის“ ხელმძღვანელმა ნატალია თოლორაიამ 6-თვიანი მომსახურების ბარათები გადასცა ორივე გამარჯვებულს. ნინა წკრიალაშვილს კი როგორც ერთგულ მომხმარებელს გადასცა სოლარიუმ კლუბის 6-თვიანი ულიმიტო ბარათი. იოგას ცენტრმა „ანანადამ“ ორივე ფინალისტი დააჯილდოვა ერთწლიანი მომსახურებით. კომპანია „ლუტეციამ“ საჩუქრები გადასცა ყველა მონაწილეს. თამთა დემურიშვილმა პროექტს გადასცა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებთან ერთად გადაღებული ფოტო, ფინალისტებს ქეთის და გიორგის გადასცეს ბავშვების ნახატები. ასევე მიიღეს საჩუქრები დუტამ და გოჩა ჩერტკოევმა.

„ინტერკონტინენტალმა“ წამყვანებს გადასცა საგზურები — დუტას და ნანკას ეგვიპტე, ლიკას და კახას კი — სტამბული. ასევე „კიამ“ წამყვანები სპორტული აქსესუარებით დააჯილდოვა. ზარაფხანას წარმომადგენელმა მიხეილ ქურდაძემ „ზარაფხანას“ რჩეული გიორგი ყიფშიძე დააჯილდოვა, ასევე ყველა წამყვანს, კონკურსანტს და ჟიურის წევრებს გადასცა სიმბოლური საჩუქრები. საჩუქრის გარეშე არც პროექტის პროდიუსერი ნოე სულაბერიძე დარჩენილა.

## ·დტჯფვ უფბსდფჯბცობყტს=

## fcnhjkjubz

### 4 იანვარი _ სიახლის დღე

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — ნურავის ენდობით, თქვენთვის იყავით. **ტყუპები** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** — ცხოვრება გეცვლებათ და ეს თქვენთვის ძალიან კარგია. **ლომი** — გახარებული ხართ, საწადელს ადვილად მიაღწევთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — სახლში დიდი სიხარული გელით, ბედი გწყალობთ. **ღრიანკალი** — პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ, საქმე კარგად წაგივათ. **მშვილდოსანი** — ჩაფიქრებული ხართ, გამხიარულდით. **თხის რქა** — რჩევას გეკითხებიან, მაგრამ მაინც თავისებურად მოქმედებენ. **მერწყული** — საქმე ბევრია, ამიტომ დრო გაანაწილეთ. **თევზები** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

### 5 იანვარი _ შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კურო** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ტყუპები** — ყურადღების ცენტრში ხართ, ამის გამო პრობლემები გაქვთ. **კირჩხიბი** — შეხვედრა დიდ შედეგს მოიტანს, გახარებული ხართ. **ლომი** — ფული გაქვთ, მაგრამ ბევრი მუშაობა გელით. **ქალწული** — წარმატება მოვა, მთავარია, არ შეშინდეთ. **სასწორი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიღალოთ. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, მთავარია, არ მოდუნდეთ. **მშვილდოსანი** — დაისვენეთ, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თხის რქა** — თქვენთვის მნიშვნელოვანი შედეგია, ამიტომაც შრომობთ ბევრს. **მერწყული** — არ აყვეთ პროვოკაციას, ასე აჯობებს. **თევზები** — საკუთარ ნიჭს დღეს გამოავლენთ, გილოცავთ!

უბცეპდტ,ს ,ტცყბტპ ძქტს=

# ბარსას მესი და ვალდესი უბრუნდება



გუშინ არგენტინიდან ბარსელონაში დაბრუნდა და საერთო ჯგუფთან ერთად ივარჯიშა ლიონელ მესიმ. არგენტინელი სამშობლოში სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა და ახლა თავს კარგად გრძნობს.

— ისევ ვივარჯიშო თანაგუნდელებთან ერთად, ეს დიდი ბედნიერებაა. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მოუთმენლად ველოდები მოედანზე გასვლას, — აცხადებს მესი.

მესიზე არანაკლებ ელის მის გვერდით თამაშს „ბარსელონას“ ჰავბეკი სესკ ფაბრეგასი. ეს შესაძლოა უკვე ამ კვირას, „ელჩესთან“ შეხვედრაში მოხდეს.

— მესის დასვენება ჰაერივით სჭირდებოდა. ეს ტრავმა მისთვის პირველი არ იყო, მან უკვე მეოთხედ თუ მეხუთედ დაიზიანა კუნთი და გარკვეული დროით უქმობა აუცილებელი იყო. მაგრამ როდესაც მესი დაბრუნდება, გააფთრებული ხარივით იქნება, — ამბობს სესკი.

სავარჯიშო სესიის შემდეგ, ექიმებმა მწვანე შუქი ვიქტორ ვალდესსაც აუნთეს. აქედან გამომდინარე, ის ხელმისაწვდომი იქნება ლა ლიგის კვირას გასამართი მატჩისთვის, „ელჩეს“ წინააღმდეგ.

შობის შესვენებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ მისი მიზანი იყო „ელჩეს“ წინააღმდეგ მატჩისთვის მზად ყოფილიყო.

ვალდესმა ტრავმა 44 დღის წინ მიიღო, როდესაც ესპანეთის ეროვნული ნაკრები საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში სამხრეთ აფრიკას უპირისპირდებოდა. ამ დროის განმავლობაში „ბარსას“ კარს ხოსე მანუელ პინტო იცავდა. ვალდესმა სულ რვა თამაში გამოტოვა ყველა ტურნირში (ლა ლიგა, ჩემპიონთა ლიგა, კოპა დელ რეი). ამ მატჩებიდან, გუნდმა 6 მათგანში გამარჯვება მოიპოვა, 2-ში კი დამარცხდა (აიაქსი, ბილბაო) და 8 გოლი გაუშვა.

## hპxცღxპლბ ფ

**შვეულად:** 1. შამპანურის, ღვინის სასმელი მაღალფეხიანი ბროლის ჭიქა; 2. გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა; 3. სარკაზმული პუბლიცისტური ნაწარმოები; 4. წყალი მყარ მდგომარეობაში; 6. ფოტოჟურნალისტთა მეტსახელი; 8. ესპანელი დიქტატორი; 11. ებრაული სამლოცველო; 12. ფრანგული სიგარეტი; 16. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ბრაზილიური ფირმა; 17. კვების გარკვეული რეჟიმი; 18. სპირტიანი სასმელი.

**თარაზულად:** 1. მარგალიტის ყელსაბამის ძველებური სახელწოდება; 5. თვითმფრინავის გემის კიბე; 7. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 9. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 10. პარიზის ძველი სახელწოდება; 13. საზეიმო ხასიათის დიდი ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკალური ნაწარმოები; 14. დამოუკიდებელ ფერმერთა გაერთიანება ისრაელში; 15. ქართული მითოლოგიის გმირის, ამირანის დედა; 19. უნგრული წვნიანი კერძი; 20. გერმანული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 21. მარტივი, უმოტორო საფრენი აპარატი; 22. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




# შვიდკაცა რაგბს ახალი სპონსორი ჰყავს



ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კომპანია „თესის პეტროლიუმ ლიმითედსა“ და საქართველოს რაგბის კავშირს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს რაგბი 7-ის ეროვნული ნაკრების გენერალურ სპონსორობას ითვალისწინებს. ამრიგად, ახალი გენერალური სპონსორის მხარდაჭერით, საქართველოს რაგბი 7-ის ეროვნული ნაკრები გუნდი ეცდება 2016 წლის რიოს თამაშების ლიცენზიის მოპოვებას.

გიორგი მირცხულავა, თესის პეტროლიუმ ლიმითედის ვიცე-პრეზიდენტი:

— ჩვენი კომპანიისთვის დიდი ბედნიერებაა, ასოცირებულნი ვიყოთ გამარჯვებასთან! თქვენ სწორედ გამარჯვება ხართ დღევანდელ საქართველოში.

შეგახსენებთ, რომ 7-კაცა ნაკრებს დახმარებას ოლიმპიური კომიტეტიც გაუწევს. როგორც უკვე ვწერდით, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა, გია ნიჟარაძემ უკვე წარადგინა ორწლიანი გეგმა და ოლიმპიადაზე მოხვედრის რეალური სურათი.

# ამერიკის შტატ კოლორადოში მარიხუანას სრული ლეგალიზება მოახდინეს



2014 წლის პირველი იანვრიდან ამერიკის შტატ კოლორადოში მარიხუანას სრული ლეგალიზება მოახდინეს. დაშვებულია არა მხოლოდ მოწევა, არამედ ამ ნარკოტიკის ნებიმიერი სრულწლოვანი მსურველისთვის მიყიდვაც. ტურისტული კომპანიები უკვე სთავაზობენ განსაკუთრებულ კომპლექსურ ექსკურსიებს.

კოლორადო პირველი ამერიკული შტატი გახდა, სადაც მარიხუანას გაზრდა, გაყიდვა და მოხმარება არამხოლოდ სამედიცინო მიზნებითაა დაშვებული. ამ ნარკოტიკული ნივთიერების გაყიდვის უფლება უკვე შტატის რამდენიმე ათეულმა მაღაზიამ მიიღო.

რეგიონული კანონმდებლობის თანახმად, კოლორადოს 21 წელს ზემოთ ნებისმიერ მცხოვრებს შეუძლია სახლში შეინახოს უნცია (28,35 გრამი) კანაბისი, ან მცენარის 6 „ცოცხალი“ ძირი. ერთი უნცია ნარკოტიკის ღირებულებამ

გაგრძელება მე-9 გვერდზე